# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 28 ივლისი 2005 №170 (2493) ფასი 50 თეთრი



**ფრანგული რომანტიზმი და ქართული ბანგლადეშიზმი**

ინტერვიუ ალენ ჟირესთან

2



**იტალიაში არეულობაა**

ჯენოა სერია C-ში მოისროლეს

5



**სამუელ პიტერი: კლიჩკო, შენ მოსიარულე გვამი ხარ**

15

# ბანანცი ტოლმა არ არის

## ტორპედო: შავი დღე, თეთრი რუსეთი




# ამერიკელებს წყლიდან ოქრო ამოაქვთ

მონრეალში საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატში მოცურავეთა შეჯიბრება გახურდა და მედლების ცვენაც დაიწყო. ამერიკელები უმედლოდ ლამის არც ერთ ფინალურ გაცურვას არ ტოვებენ. მათი ლიდერი, შარშანდელი წლის საუკეთესო სპორტსმენი მაიკლ ფელპსიც ჩვეულ ფორმაშია და მასაც ოქროს მოსავალი აქვს.

მეთოთხმეტე გვერდი



ალენ ჟირესი სასტუმრო „ბატესტას“ მყუდრო ეზოში ზის და ჩვეულ ფრანგულ იუმორს აფრქვევს. ვერ ისვენებს, წამდაუწუმ ნაცნობ ადამიანებს ემშვიდობება, „ნახვამდის“, „დიდი მადლობა“... მგონი, ქართულად უფრო ხშირად ლაპარაკობს, ვიდრე ფრანგულად. ჟირესს სახეზე ეტყობა წყენა, რაც მას საქართველოს ნაკრებიდან უეცარი დათხოვნით მიაყენეს, მაგრამ ბოლმას არ იდებს გულში — პირიქით, ქართული ფეხბურთის ქომაგად ჩამთვალეთო, ამბობს.

ფრანგ მწვრთნელთან ბოლოდროინდელ მოვლენებზე არ გვისაუბრია, მან თავისი უკვე თქვა და რაღა დაგვრჩენია — საფრანგეთის ნაკრების რომანტიკული თაობა, ვარსკვლავების როლი, შედარებები...



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ჟირესი 80-იანებში და ჟირესი დღევანდელობაში

## ფრანგული რომანტიზმი და ქართული ბანგლადეშიზმი

**— ბატონო ალენ, კოპასა და ფონტენის თაობას თუ არ ჩავთვლით, საფრანგეთის ნაკრების აღმავლობა 1978 წლიდან დაიწყო. მაინც რის ხარჯზე?**

— 70-იანი წლების ფრანგულ ფეხბურთში ძალიან დიდი რეფორმები გატარდა. სერიოზული აქცენტი გაკეთდა ბავშვთა ფეხბურთზე. 1978 წლის მუნდიალზე შედეგი ვერ გამოჩნდა, მაგრამ მერე ნაკრების თავკაცმა მიშელ იდალგომ ნიჭიერი და ესთეტიკური მოთამაშეები შემოიკრიბა, რომანტიკული სტილი აირჩია. ვფიქრობ, სწორედ ლამაზი ფეხბურთის გამო შეიყვარა მსოფლიომ საფრანგეთის ნაკრები. მე, მიშელ პლატინი, ჟან ტიგანა, დომინიკ როშტო... ჩვენმა თაობამ ნიჭის ხარჯზე გააკეთა ყველაფერი. აი, 90-იანი წლების საფრანგეთის ტრიუმფი კი შრომის ხარჯზე მოხდა. წეღან რომ ვახსენე 70-იანი წლები, სწორედ იქიდან დაიწყო საძირკვლის ჩაყრა, 1998 წელს კი სახლი აშენდა. ეს საფრანგეთში, ხოლო საქართველოში ერთ წელიწადში უნდათ ყველაფერი.

**— მიუხედავად იმისა, რომ ზიდანის, ბლანისა და დესაის საფრანგეთმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, ბევრი თვლის, რომ თქვენი თაობის ნაკრები უფრო ძლიერი იყო...**

— ჩემგან უხერხულია შედარება. რომ მკითხოთ, ჩემი შვილი მირჩევნია თუ სხვისი, რა თქმა უნდა, ჩემსას ვიტყვი. ისე, 80-იანი წლების საფრანგეთის ნაკრები უფრო შემტევი, უფრო რომანტიკული იყო.

**— მიშელ იდალგო თუ ემე ჟაკე?**

— აქაც გამიჭირდება. ისინი საოცრად მონდომებულები და პროფესიონალები იყვნენ, თავიანთი ცოდნა მაქსიმალურად გადაჰქონდათ მინდორზე.

**— ალბათ დაგვეთანხმებით, თქვენ დროს უფრო ბევრი ვარსკვლავი თამაშობდა. მარადონაზე ნურც ვიტყვით, ზიკოს, პლატინის, ჟირესის თუ სოკრატესისნაირებიც კი დღეს ცოტანი არიან და რატომ?**

— ახლა ფიზიკური მომზადება და დისციპლინა გაიზარდა, რაც ინდივიდუალიზმს ჩრდილავს. მადლობა ღმერთს, რომ ბრაზილია არსებობს — ვარსკვლავებიც ბევრი ჰყავს, თამაშითაც გასიამოვნებს და შედეგი ხომ თავისთავად აქვს. კონფედერაციის თასზე ბრაზილია ფანტასტიკური, სრულყოფილების ნიმუში იყო.

**— საფრანგეთის ნაკრებს ზოგი იმიტომ არ ქომაგობს, რომ მასში ბევრი სხვადასხვა ეროვნების მოთამაშეა. ამას როგორ უყურებთ?**

— ცოტა უცნაურია. ზიდანი, ვიეირა და ჯორკაეფი ხომ საფრანგეთში არიან დაბადებულები, იქ გაიზარდნენ, იქ ისწავლეს ფეხბურთი.

**— თქვენი დროის საფრანგეთის ნაკრების საუკეთესო მატჩი რომელი იყო?**

— შედეგით 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ესპანეთთან მოგებამ ყველაფერი გადაწონა. ხარისხით კი 1982 წლის მუნდიალის ნახევარფინალი გერმანიასთან და 1986-ის მეოთხედფინალი ბრაზილიასთან.

**— საფრანგეთი—გერმანია მუნდიალების ისტორიაში ერთ-ერთ ულამაზეს და უდრამატულეს მატჩად ითვლება. მაინც რა მოხდა დამატებით დროში, 3:1 რატომ ვერ შეინარჩუნეთ?**

— ბოლო 15 წუთი კი არა, მთლიანად ის თამაში იყო მოვლენა, აქეთ-იქით ხშირი მომენტები, ულამაზესი პასები, ფინტები, ფანტაზია.... გერმანელთა მეკარე შუმახერმა ჩვენი ბატისტონი კინაღამ მოკლა, უეჭველად გასაძევებელი იყო, მაგრამ მსაჯმა რატომღაც ყურადღება არ მიაქცია ამ მომენტს. 3:1 ვიგებდით და მაინც ვაგრძელებთ შეტევებს — უბრალოდ, თამაშის ნაკადმა წაგვიღო, გაჩერება და დაცვაში ჩადგომა არ შეგვეძლო. არადა, ეს რომ გაგვეკეთებინა, მოვიგებდით.

**— როგორ ფიქრობთ, ფინალში რამ გასულიყავით, იტალიას მოუგებდით?**

— მიჭირს თქმა. ისე, იტალია უფრო იქნებოდა ფავორიტი, მაგრამ ისიცაა, რომ იმ წელს მათ ამხანაგურ თამაშში 2:0 მოვუგეთ.

**— 1986 წლის მუნდიალზე იტალია და ბრაზილია გამოთიშეთ, მაგრამ გერმანიასთან ისევ წააგეთ. ეს დაღლილობის ბრალი იყო თუ გერმანიის სინდრომი ჩამოგიყალიბდათ?**

— სინდრომი ნაღდად არ ყოფილა. დაღლილობამ და ფსიქოლოგიურმა წნეხმა წაგვაგებინა — საფრანგეთისთვის ფინალში ვერგასვლა ხომ ტრაგედია იქნებოდა და საბოლოოდ ასეც მოხდა.

**— ბოლოს ერთი კითხვაც ქართულ ფეხბურთზე. როგორ გგონიათ, ჩვენს ნაკრებს რაც უნდა ძლიერი მწვრთნელი დაუნიშნონ, მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე გასვლას შეძლებს?**

— ნაკრების თუ კლუბის წარმატება მწვრთნელზე მეტად ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. აი, რატომ არ ამბობთ, პლატინისა და ჩემმა თაობამ ევროპის ჩემპიონობას რომ მიაღწია, ძლიერი მწვრთნელის დამსახურება იყოო? ჟაკე და იდალგო ბანგლადეშში რომ ჩაიყვანო, რამეს გააკეთებენ? დიდი მწვრთნელი მაშინ ხდები, როცა დიდი ფეხბურთელები გყავს. გამონაკლისი ძალიან იშვიათია.

**ილია ნანობაშვილი**

# პატრიოტული მატჩის წინ

## ამერმა ნიკურაძე საქმეში ვერ ჩახა

**გუშინ** გორში, „ქართლის“ სტადიონზე, სეზონისწინა ბოლო ამხანაგური მატჩი ჩაატარეს „ცხინვალმა“ და „ამერმა“ — უმაღლეს ლიგაში პატრიოტული მოტივით აღზევებულმა კლუბმა და პირველი ლიგის ჩემპიონმა.

თამაში სტუმართა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. პირველი გოლი 37-ე წუთზე ექსტორპედოელი ალექსანდრე კოშკაძის პასით საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარმეგოლე რატი წინამძღვრიშვილმა გაიტანა. მეორე გოლი კი ამერელებმა თამაშის მიწურულს, 84-ე წუთზე შეაგდეს — გივი ჩხეტიანი მეკარესთან პირისპირ გავიდა და დაბალ კუთხეში გაიტანა.

სხვათა შორის, „ქართლზე“ „ცხინვალი“ და „ამერი“ მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს და თბილისელებმა პირველად შეძლეს იქაურთა დამარცხება. წინა ორი საპირველლიგო შეხვედრებიდან ერთი ფრედ დასრულდა, ერთიც „ცხინვალმა“ მოიგო.

ისიც ვთქვათ, რომ „ამერის“ კაპიტნისთვის გიორგი დავითნიძისთვის ეს მეასე ამერული მატჩი იყო.

თავშივე აღვნიშნეთ, თამაში სტუმრებისა იყოო, მეტი სიზუსტისთვის კი დავძინოთ: ცხინვალელებს პირველ ტაიმში კიდევ ეყოთ მეტოქესთან გამკლავების ენერგია, მაგრამ შესვენების მერე დაღლილობამ თავისი გაიტანა და მასპინძლებს სტუმართა ნახევარზე გადასვლაც უჭირდათ.

„ამერის“ შემადგენლობაში პირველად ითამაშა ფინეთიდან ჩამოსულმა მეკარე გიორგი ნიკურაძემ, რომელიც მეოთხე დღე იყო, რაც თავის ახალ გუნდს შეუერთდა. ამ შეხვედრაში ნიკურაძის მოვალეობას, შეიძლება ითქვას, ოდენ თანაგუნდელთათვის კარნახი შეადგენდა, რაკი თამაშში სულ ორჯერ ჩაერთო და ისიც ნაკლებ სახიფათო ეპიზოდებში.

ბოლოს კი, ვინაიდან „ქართლის“ სტადიონმა უმაღლესი ლიგის მატჩებს უნდა უმასპინძლოს, ვიტყვით, რომ იქ რაც კარგია, მინდორია. გასახდელში რემონტს აკეთებენ და ჩანს, რომ სეზონის დაწყებამდე მეტ-ნაკლებად ნორმალურ იერს მისცემენ. ტრიბუნაზე სკამები ისევ არ არის და გულშემატკივრებს ბეტონზე მოუხდებათ ჯდომა. დარჩენი კი, სეზონი დაიწყება და იქ გამოჩნდება. „ცხინვალი“ პირველი ტურის პატრიოტულ მატჩში სოხუმის „დინამოს“ სტუმრობს, „ამერი“ კი ქუთაისში ჩადის.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

***ცხინვალი:*** *სოლოლაშვილი, ფერსაევი, ქობესაშვილი, ლომიძე, დ. მაისურაძე, გ. ჩიტაია, მოსიაშვილი, გამცემლიძე, ხანიშვილი, მ. ჩიტაია, ბაკარანძე.* შეცვლაზე შევიდნენ: *ქესანაშვილი, შუბითიძე, ქობლიანიძე, ჭეჭელაშვილი, გ. კიდარაშვილი, ბოლოთაშვილი, თურმანიძე, ეჯოშვილი, გ. მაისურაძე.*

***ამერი:*** *ნიკურაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, გ. კვახაძე, ა. კიდარაშვილი, დეკანოსიძე, კოშკაძე, სილაგაძე, წინამძღვრიშვილი, დავითაშვილი.* შეცვლაზე შევიდნენ: *ელბაქიძე, მჭედლიშვილი, გ. ჩხეტიანი, გვაძაბია, ბულაძე, ნადირაძე, ჩიმაკაძე, დობროვოლსკი, ნიკოლაიშვილი, ვარამიშვილი.*

**ლუკა თალაკვაძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

„ცხინვალთან“ მატჩში გიორგი ნიკურაძის ამერული დებიუტი შედგა


სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ფეხბურთის კლუბი ამერი
პარასკევს, 29 ივლისს 14 საათზე სასტუმრო „ვარაზში“
გამართავს სეზონისწინა პრესკონფერენციას.

*ფკ ამერის პრესსამსახური*

# უეფას თასი 2005–2006

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# ბანანცი ტოლმა არ არის

**თბილისი. 28 ივლისი. 19 საათი. მიხეილ მესხი**

## ლოკომოტივი — ბანანცი

**პირველი მატჩი 3:2**

**თბილისის „ლოკომოტივი" დღეს სომხურ „ბანანცს" უმასპინძლებს და ალბათ, უეფას თასის შემდეგ ეტაპსაც უწევს. თბილისელებმა სომხები ორი კვირის წინ ერევანში 3:2 დაჯაბნეს და ახლა რა ღმერთი გაუწყრებათ, ეს უპირატესობა გაანიავონ. თუმცა, პირველი მატჩის შედეგის მიუხედავად, „ლოკომოტივის" თავკაცი ნოდარ აკობია მაინც ფრთხილობს და მართალიცაა, ერთი და ორი მაგალითი გვახსოვს, მეტოქეს სტუმრად რომ უკეთ უთამაშია და საშინაო მარცხი გამოუსწორებია?**

**ნოდარ აკობიამ, ალბათ, უფრო თავისი ახალგაზრდა შეგირდების გასაგონად, გუშინდელ პრესკონფერენციაზე თქვა...**



— „ბანანცმა" პირველ შეხვედრაში საკმაოდ ნორმალური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, ერევნელებს დიდი პოტენცია აქვთ. შინ თამაშისას ზედმეტად თავდაჯერებულები იყვნენ და ამიტომაც დაისაჯნენ. სომხებმა იცოდნენ, რომ წინა სეზონის ბოლოს „ლოკომოტივი" ათმა ფეხბურთელმა დატოვა, ერევანში ვარჯიშისას დაშავდა ირაკლი სირბილაძეც და ეგონათ, იოლად გაგვისწორდებოდნენ. „ბანანცი" უკვე თბილისშია, ხვალ ამ გუნდს საქმეში ნახავთ და ჩემს სიტყვებში დარწმუნდებით. სომხებს, ტრადიციულად, კარგი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. ხვალ რთულ თამაშს ველი. ბიჭები ერთი წუთითაც არ უნდა მოდუნდნენ.

— ედიკ საჯაია ჩვენთან ერთად კი არის, მაგრამ ის საუეფასთასო განაცხადში ვერ შევიყვანეთ და „ბანანცთან" თამაშის უფლება არ აქვს. გამოჯანმრთელდა და უკვე ორი დღეა, მთელი დატვირთვით ვარჯიშობს გიორგი კახელიშვილი, სირბილაძეს კი ისევ ტრავმა აწუხებს.

— მოდით, „ლოკომოტივ" — „ბანანცის" წყვილში გამარჯვებულზე წინასწარ ნუ ვილაპარაკებთ. მატჩს დაველოდოთ, მოგებული ხვალ გაირკვევა.

— „ლოკომოტივი" ანგარიშის შენარჩუნებაზე არასდროს თამაშობს, ჩვენი მიზანი ყოველთვის მოგებაა, ხვალაც უნდა მოვიგოთ.

— როცა ერევანში 3:0 წავიყვანეთ, რამდენიმე წუთში მივხვდი, რომ უპირატესობას დავკარგავდით. „ლოკომოტივი" ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია და ბიჭებმა მოგებისა ნაადრევად ირწმუნეს, „ბანანცმა" კი შვიდ წუთში ორი გოლი გაგვიტანა. თბილისში უფრო ყურადღებით უნდა ვიყოთ.

— სხვათა შორის, ერევანში ძალიან თბილად გვიმასპინძლეს და ამისთვის სომხებს მადლობას ვეტყვით. იმედია, მეზობლებს ჩვენი ქომაგებიც პატივისცემით მოეპყრობიან. ჩვენ კი „ბანანცს" მოედანზე არაფერს დავუთმობთ.

**კობა ინასარიძე**

# სარქისიანის მეგრული საიდუმლო

**საქართველოში** ჩამოვედით და ეს ძალიან გვახარებს, ჩვენ კეთილი მეზობლები, მეგობრები ვართ და ერთმანეთში ფეხბურთიც სანახაობრივი გამოგვდის — თქვა გუშინ ერევნის „ბანანცის" მწვრთნელმა *სამველ სარქისიანმა*, რომელმაც შეგირდები „ლოკომოტივთან" სათამაშოდ ერევნიდან გუშინ ავტობუსით ჩამოიყვანა და გუშინვე ერთი საათი „მიხეილ მესხზე" ავარჯიშა. სარქისიანი მხოლოდ მითითებებს როდი იძლეოდა, ფეხბურთელებთან ერთად ისიც საკმაოდ დაიტვირთა და ვარჯიშის შემდეგ მისი შეყოვნება ორიოდ წუთით მოვახერხეთ...

— „ბანანცისთვის" ძნელი იქნება საშინაო 2:3-ის მერე თბილისში სასურველი ანგარიშით გამარჯვება, თუმც, ცხადია, აქ ამისთვის ჩამოვედით და ჩემი ფეხბურთელების იმედიც მაქვს.

**— როგორ თამაშს ელით?**

— არა მგონია, „ლოკომოტივმა" ხვალ დაცვიდან ითამაშოს. ამ გუნდმა შეტევა კარგად იცის, მწვრთნელს კარგი ფეხბურთელებიც ჰყავს. „ლოკომოტივს" საპასუხო მატჩის წინ უპირატესობა აქვს, მაგრამ ეს ჩვენს უშანსობას არ ნიშნავს.

**— მოედნით კმაყოფილი ხართ?**

— დიახ, მოედანიც და სტადიონიც მშვენიერია.

**— უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?**

— დიახ, არავინ გვაკლია.

**— და კიდევ, ეს გვითხარით, ხვალ ქართველ მეკარე მანუჩარ ივარდავას თუ ათამაშებთ?**

— ეს მცირე საიდუმლოა.

რა საიდუმლოს ინახავს ასე გულმოდგინედ სამველ სარქისიანი, ვერ გეტყვით, თუმც ითამაშებს თუ არა დღეს *მანუჩარ ივარდავა*, არა მგონია, „ბანანცისთვის" დიდად მნიშვნელოვანი იყოს.

— არ ვიცი, მწვრთნელი სახვალიოდ რას აპირებს, ის კი ნალდია, რომ სომხეთის ჩემპიონატის შემდეგ „ბანანცს" დავტოვებ — გვითხრა თავად ივარდავამ — „ბანანცში" სათადარიგოობას ვერ ავიტან. ჩემპიონატში ორი ტურიც დარჩა და...

**— ერევნის მატჩის შემდეგ „ბანანცის" მწვრთნელმა თქვა, შევცდი, როცა კარში ივარდავა დავაყენეო...**

— ეგ მეც წავიკითხე და ძალიან გამიკვირდა. ერევანში, მგონი, ურიგოდ არ მითამაშია.

**— „ლოკომოტივთან" საპასუხო მატჩზე რას ფიქრობ?**

— ძნელი იქნება თბილისელების დამარცხება, მით უმეტეს, რომ მინიმუმ ორი გოლი უნდა გავიტანოთ და არც ერთი მივიღოთ. ვნახოთ, ისე, გუნდი ძალიან მონდომებულია და მოსაგებად ვითამაშებთ.

**კობა ინასარიძე**



**სამველ სარქისიანი ფავორიტად „ლოკომოტივს" მიიჩნევს**

**ბორისოვი. 28 ივლისი. 21 საათი. საქალაქო სტადიონი**

## ბატე — ტორპედო

**პირველი მატჩი 1:0**

გუშინ ქუთაისის „ტორპედო" კოპიტნარის აეროპორტიდან ბორისოვში ჩაფრინდა. გაჭირვებული რიონისპირელები დღეს ბოლო მატჩს ჩაატარებენ ოთარ გაბელიას ხელმძღვანელობით და მათგან სასწაულსაც არავინ ითხოვს — ყველაფერი ცხადია — ეს ტორპედო ბატეს მომგები არ არის.

უეფას თასის საპასუხო მატჩი დღეს ბორისოვის საქალაქო სტადიონზე თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება, შეხვედრას ბულგარელი მსაჯები განსჯიან — გალინ მოსკალოვი, ვენცისლავ გავრილოვი, კრასიმირ კერეზოვი და ანგელ ანგელოვი; კომისარი სომეხი არმენ მინასიანია, ინსპექტორი კი ავსტრიელი ჰორსტ ბრუმაიერი.

„ტორპედომ" გუშინ საქალაქო სტადიონზე ივარჯიშა, ბატე კი საკუთარ ბაზაზე ემზადებოდა და მთავარ მწვრთნელ იგორ კრიუშენკოსაც იქ ჩამოართვა ინტერვიუ „პრესბოლის" ჟურნალისტმა...

# ვიცი, რომ მოდიან, არ ვიცი, ვინ მოდის



**— თბილისში მოგების შემდეგ ბატემ ორი მატჩი ჩაატარა ბელარუსის ჩემპიონატში. როგორი განწყობაა დღეს გუნდში?**

— ორივე შეხვედრაში ვიმარჯვეთ და ეს კარგია. ბიჭები თავს კარგად გრძნობენ.

**— რას ფიქრობთ იმ მოვლენების შესახებ, რაც ახლა „ტორპედოში" ხდება?**

— ეს ქართული კლუბის საშინაო საქმეა და ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, რომ კომენტარისგან თავი შევიკავო.

**— ყოველ შემთხვევაში, „ტორპედოს" კრიზისი არავისთვისაა საიდუმლო. მათ შორის არც თქვენი ფეხბურთელებისთვის. არ გეშინიათ, რომ ამან გუნდი მოადუნოს?**

— მგონი, ბიჭებს კარგად ესმით, რას მოითხოვენ მათგან. „ტორპედო" რამდენიმე ლიდერმა კი დატოვა, მაგრამ მათ ნაცვლად ახალგაზრდები ითამაშებენ და არა მგონია, უბრძოლველად რამე დაგვითმონ. სიფრთხილე გვმართებს.

**— ყველა ფეხბურთელი მზადაა მატჩისთვის?**

— ტრავმირებულია კლიმოვიჩი. სამწუხაროდ, ვერ ითამაშებს შოროხიც. უკვე იცით, რომ ბატე დატოვა პაველ ბეგანსკიმ, რომელიც ყაზახურ „ეენისში" გავანათხოვრეთ, „ნემანში" გადავიდა ანდრეი გორბაჩი. აი, ესაა ჩვენი დანაკლისი.

**— ჰყავს თუ არა „ტორპედოს" ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც განსაკუთრებულად უფრთხით?**

— ჩემთვის ძნელი სათქმელია, მათგან რომელი ჩამოვა ბორისოვში, ამიტომ გამოვარჩევ მათ, რომლებმაც პირველ მატჩში მიიქციეს ჩემი ყურადღება — ცუდად არ უთამაშია 18 წლის მეკარე რევიშვილს, გარკვეულ პრობლემებს გვიქმნიდნენ თავდამსხმელები კაკალაძე და ჯიქია, ნახევარდაცვაში [illegible]ვაძე დამამახსოვრდა, დაცვაში კი ტანმაღალი გამეზარდაშვილი და კიდევ, განსაკუთრებულად [illegible] თამაში შეცვლაზე შემოსულმა შალამბერიძემ, რომელმაც მარჯვენა ნახევარმცველად ითამაშა.

**— „ტორპედოსთან" მატჩში შემადგენლობას მნიშვნელოვნად შეცვლით?**

— ამას, მატჩის წინ გადავწყვეტ. მანამდე ჯერ კიდევ არის დრო.

# ქუთათურქული

**ქუთაისის „ტორპედოს"** მომავალი ჯერაც გაურკვეველია. ფაქტი ისაა, რომ „ტორპედოს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ 1 300 000 ლარი ვალი აქვს და ლიკვიდაცია ემუქრება, საქმე უკვე სასამართლოშია, თუმც დახეთ საოცრებას — ქუთათურებს მშველელი თურქეთში გამოუჩნდათ. თურქი ბიზნესმენი იბრაგიმ ართვინლი „ტორპედოს" შეძენით დაინტერესდა და თუ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, საქართველოს სამგზის ჩემპიონის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი ართვინლის კომპანიასთან ერთად შესაძლოა, „ჯეოსელიც" გახდეს.

რა როგორ მოხდება, დღეს ძნელი სათქმელია, ქუთაისის ახალმა ვიცე-მერმა გიგა ჩოგოვაძემ კი ეს გვითხრა: „ჯერ ვერ დავადასტურებ თურქების მიერ „ტორპედოს" შეძენის სურვილს, რადგან ამის შესახებ ჩვენთვის ოფიციალურად არავის მოუმართავს. „ტორპედოს" საქმეს ახლა სასამართლო განიხილავს და კლუბი ლიკვიდირებული იქნება, თუმც თუკი სპონსორი გამოჩნდება, ამას რა აჯობებს. მერია „ტორპედოს" აქციების 10 პროცენტს ფლობს, დანარჩენი ნაწილი კი კერძო პირების საკუთრებაა. ასე რომ, გააჩნია, მხარეები როგორ მოილაპარაკებენ. ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ ქუთაისს გუნდი ჰყავდეს".

**კახა შალამბერიძე**

# ანართოსისი ქართველების გარდა სიცხემაც ახეირა

## გიორგი ქინქლაძე: შემდეგ ეტაპზე ჩვენ უნდა გავიდეთ



**ნიქოზიაში** დიდი ამბავი მოხდა — კვიპროსის ჩემპიონს, ფამაგუსტის „ანართოსისს" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში თურქული „ტრაბზონსფორი" ეწვია — ეს პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობის მატჩი იყო კვიპროსზე ეთნიკური ბერძნებისა და თურქების ანტაგონისტობის გამო.

„ტრაბზონსფორთან" ანართოსისელთაგან სამივე ქართველმა ითამაშა — თემურ ქეცბაია და კლიმენტი წიტაიშვილი სასტარტოში იყვნენ, ხოლო გიორგი ქინქლაძემ ქეცბაია მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალა — ფამაგუსტელებმა 3:1 სძლიეს თურქეთის მეორეადგილოსან ტრაბზონელებს.

„მაგარი თამაში იყო. თურქული გუნდი კვიპროსზე 30 წელი არ ჩამოსულა სათამაშოდ და მატჩისადმი ინტერესს ესეც აძლიერებდა. სტადიონი სავსე იყო, მატჩს 22 ათასი გულშემატკივარი დაესწრო" — გვითხრა ქინქლაძემ და იქვე დასძინა: „თურქები მეორე ტაიმში კაცნაკლულები დარჩნენ, რაც ერთობ დაგვეხმარა, „ტრაბზონსფორმა" სულ ორი საგოლე მომენტი შექმნა და ერთხელ იხეირა — კუთხურიდან გაგვიტანეს".

ფამაგუსტელებს 1:1 ხელს არაფრით აძლევდათ და მატჩის მიწურულს უფრო მძლავრად დაეძგერნენ მეტოქეს — ჯერ ფრუსოსმა გაიტანა, ბოლო წუთზე კი კლიმენტი წიტაიშვილმა.

„წიტაიშვილმა ძალიან კარგად ითამაშა, გოლი კი ასე შეაგდო — ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი გააჩერა, კარგად დაიგდო და ხუთიოდე მეტრიდან ოსტატურად შეასრულა საგოლე დარტყმა" — გვიყვება ქინქლაძე.

გიორგიმ ისიც გვითხრა, საკუთარი თამაშითაც კმაყოფილი ვარო: „ქეცბაიამ ამ მატჩისთვის კარგად მოგვამზადა, მაგრამ თამაშს ისეთი დატვირთვა ჰქონდა, ყველანი მაგარ განწყობაზე ვიყავით, თუმც მაინც ვნერვიულებდით. ძნელი თამაში იყო" — განგვიმარტა ქინქლაძემ.

და რა იქნება ერთი კვირის მერე ტრაბზონში? რა შანსი აქვს „ანართოსისს" შემდეგ ეტაპზე გასასვლელად? „შინ ისეთი ანგარიშით მოვიგეთ, მომდევნო ეტაპზე ჩვენ უნდა გავიდეთ, მაგრამ „ტრაბზონსფორი" სერიოზული გუნდია და თურქეთში ძალიან ძნელი თამაში გველის. ისიცაა, რომ ნიქოზიაში ძალიან ცხელოდა და შესაძლოა, თურქებს ამანაც შეუშალა ხელი" — ასე მიაჩნია ქინქლაძეს.

**დავით თავართქილაძე**



დავით კვირკველიამ ტრავმა მოიშუშა




ოსებმა დემეტრაძე უკვე შემოსეს

# კვირკველია შუმს ვერ ამტყუნებს და დემეტრაძეს ელის

**ვლადიკავკაზის „ალანიას"** ტრავმირებული ნახევარმცველი დავით კვირკველია გამოჯანმრთელდა და შესაძლოა მომავალ ტურში მოსკოვის „ტორპედოს" წინააღმდეგ ითამაშოს კიდეც.

კვირკველია სამი კვირის წინ დაშავდა, ვარჯიშზე კუნთი გაუწყდა და მას შემდეგ მკურნალობდა. ამასობაში, „ალანიამ" მის გარეშე ოთხი მატჩი ჩაატარა. ახალდანიშნულმა მწვრთნელმა იცხაკ შუმმა კი შემადგენლობა მეტ-ნაკლებად შეათამაშა და...

— „ტორპედოსთან" შესაძლოა ვითამაშო, ყოველ შემთხვევაში, ტრავმა უკვე მოვიშუშე და მწვრთნელის თანაშემწემაც მითხრა, მომავალი მატჩისთვის მოემზადეო, მაგრამ მაინც ვეჭვობ, შუმმა ახლავე მათამაშოს. მწვრთნელისთვის ჩემი შესაძლებლობების დამტკიცება, ვფიქრობ, თავიდან მომიწევს. „ალანია" უჩემოდ სტაბილური შემადგენლობით თამაშობდა და მწვრთნელი ძირითადს, ალბათ, არც ამჯერად შეცვლის, თუმც, ვნახოთ, როგორ იქნება — გვითხრა გუშინ დავით კვირკველიამ. მასვე გიორგი დემეტრაძის „ალანიაში" გადასვლის თაობაზეც ვკითხეთ და გავიგეთ, რომ ქართველი ფორვარდი ვლადიკავკაზში ჯერ არ ჩასულა. მას იქ დღეისთვის ელიან.

**ქობა ინასარიძე**

# ფოლკსვაგენეთი

## სად წავიდა ცქიტიშვილი

**28 წლის** ცაცია შუახაზელი ლევან ცქიტიშვილი „ვოლფსბურგში" ითამაშებს — „ფრაიბურგიდან" წასული და დონეცკის „მეტალურგში" მისული ცქიტიშვილი ისევ ბუნდესლიგაში ბრუნდება და ახლა ის ვთქვათ, თუ რა კლუბია „ვოლფსბურგი".

„ვოლფსბურგი" ომის შემდეგ, 1946 წელს დაარსდა, ხოლო ცხრა წლის შემდეგ უკვე ინფრასტრუქტურაც ჰქონდა — ექვსი მოზრდილთა და ხუთი ჭაბუკთა გუნდი, ოთხიც სასკოლო — „ვოლფსბურგი" ექვსასამდე წევრს აერთიანებდა.

ვოლფსბურგი გერმანიაში სპორტის მასობრიობის მხრივ მაშინ ერთ-ერთი მოწინავე ქალაქი იყო, 1961 წელს კი ქალაქის მთავრობამ 720 000 მარკა გამოჰყო სამიათასიანი სტადიონის ასაშენებლად.

„ვოლფსბურგი" ობერლიგაში ბურთაობდა და მნიშვნელოვან შედეგს მაშინ მიაღწია, როცა 1974 წელს მეორე ბუნდესლიგაში ალზევდა, საიდანაც სამი წლის შემდეგ გავარდა და მხოლოდ 1992 წელს დაბრუნდა.

აქედან „ვოლფსბურგს" სტაბილურობის ხანა დაუდგა. გუნდი თითქმის ყველა სეზონში ბუნდესლიგაში ალზევებისთვის იბრძოდა, ხოლო 1995 წელს გერმანიის თასის ფინალშიც გავიდა — „მიონხენგლადბახთან" 0:3 დამარცხდა.






ბუნდესლიგაში „მგლები" 1997 წელს აპარპაშდნენ მწვრთნელ ვილი რაიმანის ხელმძღვანელობით და იქიდან არასოდეს გავარდნილან. ორი წლის შემდეგ „ვოლფსბურგი" ბუნდესლიგაში მე-6 ადგილზე გავიდა და უეფას თასის საგზური მოიპოვა, ხოლო 2000 წელს პირველი ფეხბურთელი მიაწოდა ბუნდესნაკრებს — ზოლტან სებესკენი.

2001 წელს კლუბის აქციათა 90 პროცენტი საავტომობილო გიგანტმა „ფოლკსვაგენმა" იყიდა, მომდევნო წელს კი „ვოლფსბურგი" ახალი სტადიონითაც დამშვენდა — „ფოლკსვაგენ არენა" 30 000 კაცს იტევს.

„მგელთათვის" ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია 2003 წლის 13 სექტემბერი — იმ დღეს „ვოლფსბურგმა" პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად დაამარცხა მიუნხენის „ბაიერნი" — 3:2.

წინა სეზონში „ვოლფსბურგი" მე-9 ადგილზე გავიდა და ინტერტოტოს საგზური მოიპოვა — ამ ტურნირზე ვოლფსბურგელთა მეტოქე გუშინ ფრანგული „ლანსი" იყო.

„ვოლფსბურგი" საამსეზონოდ ჰოლგერ ფახმა ჩაიბარა, მან ერიკ გერეტსი შეცვალა. ფახი ადრე „მიონხენგლადბახს" წვრთნიდა და იმით გამოირჩა, რომ გლადბახელებს ბუნდესლიგიდან არგავარდნაში დაეხმარა.

შარშანწინდელ სეზონში „ვოლფსბურგში", გეხსომებათ, შტეფან ეფენბერგი თამაშობდა, ახლა კი „მგლებს" ასეთი სახელიანი ფეხბურთელი არავინ ჰყავთ. ისე კი, გუნდში ბევრი გამოცდილი მოთამაშეა, ბუნდესლიგაში ჭიპმოჭრილი და კარგი რეპუტაციის მქონე.

სიმონ იენჩი ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ მიიჩნევა, დაცვაში კი მთავარი კაცი შტეფან შნურია, ვისაც გიორგი ქინქლაძესთანაც უთამაშია ინგლისურ „დერბი ქაუნთიში".

გუნდის კაპიტანი გვინეელი პაბლო ტიამია, მას „შტუტგარტსა" და „ბაიერნშიც" დაუღვრია ოფლი. ფლეიმეიკერობა არგენტინელ ანდრეს დალესანდროს აკისრია, ვინც „ვოლფსბურგში" 2003 წელს გადავიდა „რივერ პლეიტიდან". მისი თანამემამულე ფორვარდი დიეგო კლიმოვიჩი კი ორი წლით ადრე მივიდა „ვოლფსბურგში", მანამდე კლიმოვიჩი ესპანურ გუნდებში ბურთაობდა.

საამსეზონოდ „ვოლფსბურგიდან" მადრიდის „ატლეტიკოში" გადავიდა ბულგარელი მარტინ პეტროვი, ვინც შემტევი ტიპის შუახაზელია. „მგლები" მიატოვა ფორვარდმა თომას ბრდარიჩმა, ვინც „ჰანოვერში" გადაბარგდა. სამაგიეროდ, „ჰალედან" „ვოლფსბურგში" მივიდა გერმანიის ნაკრების 22 წლის თავდამსხმელი მაიკ ჰანკე.

აი, ასეთ ფოლკსვაგენეთში მიდის ცქიტიშვილი.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ფასდაკლება
## ...თუ ჩელსი ლიგას მოიგებს



მიკაელ ესიენი „ჩელსის" უახლოვდება

**მიკაელ ესიენის** ჩელსელობას რამდენიმე საათი უკლია. ლონდონური კლუბის აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონი ლიონში ჩავიდა და „ლიონის" პრეზიდენტს, ჟან-მიშელ ოლას ესაუბრა.

ფრანგული მედიის ცნობით, „ლიონის" მწვრთნელმა ჟერარ ულიემ თავისი პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ ესიენი 45 მილიონი ევრო არ ღირს და ლიონელებიც 34 მილიონ 500 ათასს დაჰყაბულებულან. ამ თანხიდან 31 მილიონ 500 ათასს ინგლისელები ფრანგებს წლეულსვე ჩაუთვლიან, ხოლო დანარჩენს „ლიონი" იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგას მოიგებს. ფეხბურთელის ყოველკვირეული ჯამაგირი სავარაუდოდ, კვირაში 90 ათასი გირვანქა იქნება.

ამასობაში, „ლიონი" „ოსერს" სუპერთასისთვის შეხვდა. მატჩამდე ჟერარ ულიემ დაზუსტებით არ იცოდა, ათამაშებდა თუ არა ესიენს. ამბობდნენ, რომ განელი ნახევარმცველი გუშინვე უნდა წასულიყო ლონდონში სამედიცინო შემოწმებისთვის, მაგრამ მისმა აგენტმა ეს ცნობა არ დაადასტურა, ესიენს ბრიტანეთის ვიზა ჯერ არ აუღიაო.

და კიდევ, „ჩელსის" პრესმდივანმა საიმონ გრინბერგმა ოფიციალურად განაცხადა, რომ კლუბი ანდრეი შევჩენკოს შეძენას არ აპირებს.

„ჩვენ ერთი ფეხბურთელის დამატება გვინდოდა, ოღონდ არა ფორვარდის — თქვა გრინბერგმა — კატეგორიულად უარვყოფთ შევჩენკოს შესახებ დაყრილ ჭორებს".

**მაჭა ხუციშვილი**

*ინგლისურ „ტოტენჰემს" ედგარ დავიდსის ხელში ჩაბარებამდე ერთი ნაბიჯიღა აკლია — ლონდონელებმა ფეხბურთელთან კონტრაქტი უნდა გააფორმონ. „ინტერმა" გადაწყვიტა „პიტბულთან", რომელმაც მოლოდინი ვერ გაუმართლა, შეთანხმება გააუქმოს და ჰოლანდიელის დიდი ხელფასიც აიცილოს თავიდან. შესაბამისად, ვეტერანი ნახევარმცველი „მამალთა" რიგებში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხება*

# მამლებს პიტბულით გააძლიერებ ,ნ



ედგარ დავიდსი

**„ძალიან** მიხარია, რომ დავიდსი ჩვენთან ითამაშებს. იგი გუნდს უდავოდ გააძლიერებს. ჰოლანდიელი თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესო, უაღრესად მებრძოლი ფეხბურთელია. თანაც, ჩვენ ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს, გუნდის საშუალო ასაკიც 23 წელია და დავიდსი ამ ბიჭებისთვის მაგალითი გახდება. გახსოვთ ალბათ, არცთუ დიდი ხნის წინ, როგორ დაეხმარა ედგარი გასაჭირში მყოფ „ბარსელონას" ლიდერთა რიგებში ადგილის დასაბრუნებლად" — აღნიშნა „ტოტენჰემის" მთავარმა მწვრთნელმა მარტინ იოლმა.

„ედგარს მაღალ დონეზე, გრანდებში თამაში უყვარს. პრემიერლიგა მისთვის მშვენიერი ვარიანტი იქნება. მარტინ იოლმა კარგად იცის მისი შესაძლებლობები და ამიტომ არის მასზე დიდი წარმოდგენის" — თქვა „პიტბულის" აგენტმა რობ ვირლინგმა.

შეგახსენებთ, რომ ედგარ დავიდსს კარიერის საუკეთესო წლები „აიაქსსა" და „იუვენტუსში" აქვს გატარებული, ეროვნული ნაკრების მაისურა კი 73-ჯერ მოირგო.

**გიორგი კაკაბაძე**

# ოცი, მაგრამ რომელი?
## აპენინებზე დიდი არეულობაა



ენრიკო პრეციოზი ფეხბურთიდან ხუთი წლით მოკვეთეს

**მოსახდენი** მოხდა, იტალიის საფეხბურთო ლიგამ „ჯენოასა" და „ვენეციას" თამაშის ჩაწყობა დაუმტკიცა და სათანადო ზომებიც მიიღო. სავარაუდოდ, განაჩენი აღარ შეიცვლება, თუმცა კლუბებს გასაჩივრების უფლება კიდევ რჩებათ.

ამრიგად, აპენინების ერთ-ერთი უძველესი კლუბი და იტალიის პირველი ჩემპიონი „ჯენოა" მომავალ სეზონს სერია C1-ში -3 ქულით დაიწყებს ხოლო გენუელთა პრეზიდენტ ენრიკო პრეციოზისა და გენერალურ მენეჯერ სტეფანო კაპოძუკას ხუთი წლით ფეხბურთში ყოველგვარი საქმიანობა აეკრძალათ.

რაც შეეხება „ვენეციას", მის დირექტორ ფრანჩესკო დალ ჩინისაც ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა, ხოლო ფეხბურთელებს — მასიმო ბორგობელოსა და მარტინ ლეისალს ექვსი და ხუთი თვით მოუწევთ უქმობა.

შეგახსენებთ, რომ საქმე გასულ სეზონში სერია B-ს ბოლო ტურის მატჩს ეხება, რომელშიაც „ჯენოამ" 3:2 სძლია „ვენეციას". ამ გამარჯვებით გენუელებმა სერია A-ს საგზური გაინაღდეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, შეხვედრის შედეგი წინასწარ იყო შეთანხმებული. გამოძიებას ამის დასტურად კლუბების მმართველებისა და მოთამაშეების სატელეფონო საუბრები მოჰყავს.

შავ დღეში არიან „მესინა" და „ტორინოც". კლუბებს ფინანსური პრობლემები აქვთ და დიდი შანსია, სულ ცოტა სერია B-ში ამოყონ თავი. ტურინელებს და სიცილიელებს კიდევ ერთი აპელაციის უფლება აქვთ. ყველაფერი საბოლოოდ სავარაუდოდ, 10 აგვისტოსთვის გაირკვევა.

ასე რომ, ნამდვილად არ არის გამორიცხული, სერია A-ს დაწყება გარკვეული დროით მართლაც გადაიდოს, რადგან წესით დადგენილ 20 კლუბს შორის რომელი კლუბები იქნებიან, ჯერჯერობით, უცნობია.

**გიორგი კაკაბაძე**

# რა კაზუიუკის ბრალია, რომ იფურთხება
## ვუდგეიტის უიღბლობა გრძელდება



ჯონათან ვუდგეიტმა შესაძლოა, კარიერა დაასრულოს

**იაპონიაში** „ტოკიო ვერდისთან" 0:3 წაგების შემდეგ მადრიდის „რეალმა" „ჯუბილო ივატას" 3:1 მოუგო. მესამე წუთზე ანგარიში რაულმა გახსნა, მერე რონალდოს შეეძლო გატანა, ხოლო მაიკლ ოუენს თამაშგარე მდგომარეობის გამო გოლი არ ჩაუთვალეს.

ტაიმის შუაში შუ ნარუოკამ 25 მეტრიდან ძლიერი და მიზნიანი დარტყმით გაათანაბრა, რონალდომ კი პენალტით ისევ „რეალი" დააწინაურა. მატჩის მიწურულს ბრაზილიელმა ბომბარდირმა ფიგუს პასით მესამეც მიაყოლა — ბურთი მეკარეს ფეხებშუა გაუძვრინა.

დევიდ ბექემი, რომელსაც წინა მატჩის მსვლელობისას „ტოკიო ვერდის" ფეხბურთელმა კაზუიუკი ტოტამ მიაფურთხა, 68-ე წუთზე შეცვალეს. სხვათაშორის, კაზუიუკი ტოდას უთქვამს, ჩემი ბრალი არ არის, რომ მივაფურთხე, თვითონ მეუხეშებოდაო. შესვენებისას ჭკუაზე გადასული ინგლისელი თურმე „ვერდის" გასახდელში შევარდნას ლამობდა, მაგრამ პოლიციას გაუჩერებია.

13 მილიონ გირვანქად „ნიუკასლიდან" შარშან შეძენილ უიღბლო ჯონათან ვუდგეიტს კი ტრავმა ისევ გაუმიზეზდა და გამორიცხული არაა, კარიერა სულაც დაასრულოს.

„რეალის" ინგლისელმა ლეგიონერმა მადრიდში ერთი წელი ისე გაატარა, წუთიც კი არ უთამაშია. გუშინწინ ვარჯიშზე დაეცა და ისევ საექიმო გახდა. ვუდგეიტი ამერიკასა და ფინეთში აპირებს სამკურნალოდ წასვლას.

**მაჭა ხუციშვილი**

# რასინგი არგენტინელის შემდეგ ბრაზილიელს იყიდის

**ესპანურმა** „რასინგმა" არგენტინული „სან ლორენსოს" ყოფილი მცველი ჯონათან ბოტინელი შეიძინა. „მარკას" ცნობით, ბოტინელის ტრანსფერი სანტანდერულ გუნდს 1,7 მილიონი ევრო დაუჯდა.

„ბოტინელი ახალგაზრდა, მაგრამ არგენტინულ ლიგასა და სხვადასხვა შეჯიბრებებში უკვე გამოცდილი მცველია. კლუბის უფროსობა და გულშემატკივრები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ" — ნათქვამია „რასინგის" ვებ-გვერდზე.

გარდა არგენტინელი უკანახაზელისა, „რასინგის" „ელ სარდინეროს" მინდორს მალე ალბათ კიევის „დინამოს" ბრაზილიელი მოიერიშე კლებერიც მიაკითხავს. ესპანურ სპორტულ მედიაში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, კლებერს პრიმერადივიზიონში თამაში უნდა და იგი უკრაინელებთან შედარებით გაცილებით მძლავრ ჩემპიონატში გადასვლის შანსს არ ხელიდან არ გაუშვებს.

„ვეცდებით, ჩვენი გუნდი მომავალ ჩემპიონატში შარშანდელზე უკეთესად გამოვიდეს. ამისთვის ბოტინელის გარდა სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერიც გვაქვს დაგეგმილი" — უთხრა ჟურნალისტებს მანუელ პრესიადომ, „რასინგის" მწვრთნელმა.

**ლადო ხომერიკი**

# საკის ფავორიტები



არიგო საკი

**„ალკმაარის"** მოთამაშე დენი ლანძაატი, 29 წლის ნახევარმცველი, მადრიდის „რეალის" სატრანსფერო ორბიტაზე მოექცა. „ასის" ცნობით, „გალაქტიკოსთა" იტალიელი სპორტული დირექტორი არიგო საკი უკვე დიდი ხანია, ჰოლანდიელ ფეხბურთელს „კვალში უდგას" და მის ყოველ ნაბიჯს უდიდესი დაკვირვებით სწავლობს.

„საკის ძალიან უნდა, რომ დენი „რეალში" გადმოვიდეს. სპორტული დირექტორის აზრით, ალკმაარელი სამეფო გუნდის ცენტრში ბევრ პრობლემებს მოაგვარებს" — ვკითხულობთ იმავ „ასში".

სხვათაშორის, „რეალის" დირექტორი დენი ლანძაატის თამაშს მაშინაც დასწრებია, როცა ამ უკანასკნელმა უეფას თასზე „ვილიარეალს" ბურთი გაუტანა. ესპანური მედიის ცნობით, თუ გარიგება შედგება, „რეალი" 5 მილიონ ევროს გადაიხდის.

გარდა ლანძაატისა, საკის და კომპანიას ორი სხვა მობურთალისთვისაც დაუდგამს თვალი — ესენი დორტმუნდელი ტომაშ როსიცკი და გალისიური „დეპორტივოს" წევრი ალბერტ ლუკე არიან. ორივეს ფასი ერთად 10 მილიონი ევროა.

**ლადო ხომერიკი**

# კარგი საქმეა შოუ, დიეგო უფროსო



დიეგო მარადონამ მშობლიური „ბოკა ხუნიორსი" მიატოვა

**არგენტინული** პრესა უკვე ალაპარაკდა დიეგო მარადონას „ბოკა ხუნიორსიდან" წასვლის შესახებ. ფეხბურთის ლეგენდა, რომელიც რამდენიმე ხნის წინ მშობლიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს, „ბოკას" კაბინეტიდან ფეხბურთელთა შოუ-ბიზნესში წასვლას აპირებს.

„მარადონა მარტინ პალერმოსა და სხვა ბოკელებთან პრემიების გამო მომხდარი უსიამოვნების შემდეგ, გუნდში აღარ დარჩება. დიეგოს მალე „კანალ პლიუსის" ეთერში ვნახავთ. მას თავისი გადაცემა ექნება — „საღამო ათიანთან ერთად" — გვამცნობს ოთხშაბათის „კლარინი". იქვე თავად დიეგოს სიტყვებიც შეგვიძლია ამოვიკითხოთ: მეფე ამბობს, თუ ფეხბურთელების თვალში პატივისცემა დავკარგე და გუნდისთვის უმაქნის ტვირთად ვითვლები, რა გაეწყობა, „ბოკა ხუნიორსის" დატოვება მომიწევსო.

მარადონას თქმით, მას თავის ძველ კლუბთან ხელი არავითარ ოფიციალური შეთანხმებისთვის არ მოუწერია. ერთი სიტყვით, „კანალ პლუსში" გადაბარგებას კონტრაქტის დარღვევად ვერავინ ჩაუთვლის.

„საწყენია, თუ დიეგო ვიცე-პრეზიდენტობაზე უარს იტყვის. „ბოკას" მისი დახმარება სჭირდება" — აღნიშნა მაურისიო მაკრიმ, გუნდის პატრონმა.

ჩინოვნიკად ყოფნის პერიოდში მარადონამ ჯერჯერობით ერთადერთი რამ, გუნდის მწვრთნელად თავისი ძველი ხელმძღვანელის, ალფიო ბაზილეს მოყვანა მოასწრო...

**ლადო ხომერიკი**

# სოლარის პირველი და ეფექტური



სანტიაგო სოლარი

**როგორც** იცით, მილანის „ინტერმა" ინგლისური ტურნე წარმატებით დაიწყო და „ლესტერს" 2:1 სძლია. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ სანტიაგო სოლარის პირველი და საკმაოდ ეფექტური გოლი „ნეროაძურის" მაისურით. რობერტო მანჩინის გუნდმა ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა და არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვა.

„ეს მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო იყო. მოფეხბურთელებს ბევრი კარგი რამ შევამჩნიე. მათ ზუსტად შეასრულეს ჩემი მითითებები და მთლიანობაშიც ნორმალურად ვითამაშეთ, თანაც ფიზიკურად უფრო კარგ ფორმაში მყოფ მეტოქესთან. ინგლისურ კლუბებთან პაექრობა ყოველთვის საინტერესოა, განსაკუთრებით მათ სტადიონზე" — თქვა მილანელთა თავკაცმა.

„ფეხბურთელობისას ინგლისში ცოტა ხანს, დაახლოებით ერთი თვე ვიყავი. შემდეგ „ფიორენტინასგან" მივიღე მოწვევა და ჩემი ბრიტანული კარიერაც ამით დასრულდა. თუმცა იმ ხნის მანძილზე რამდენიმე მეგობარი შევიძინე და სასიამოვნო მოგონებებიც დამრჩა" — დასძინა მანჩინიმ.

აქვე ვთქვათ, რომ წუხელ „შავ-ლურჯები" „კრისტალ პალასს" გაეჯიბრნენ.

ამასობაში, „ინტერი" ისევ აგრძელებს ვალტერ სამუელსა და ლუიშ ფიგუს ყიდვის იმედით „რეალთან" მოლაპარაკებას. ეს ყველაფერი უკვე ძალიან გაიწელა, მაგრამ თუ პრესაში გავრცელებულ ცნობებს დავეყრდნობით, ბოლო გამოუჩნდა — მაქსიმუმ ერთ კვირაში ყველაფერი გადაწყდება.

„ამჟამად ორი დამოუკიდებელი მოლაპარაკება მიმდინარეობს. როგორ დამთავრდება ისინი, ამას, ცხადია, ჯერ ვერავინ იტყვის. ეგებ ყველაფერი ამ საღამოსვე მორჩეს ანაც უარესად გაჯანჯლდეს" — განცხადა „ინტერის" მფლობელმა მასიმო მორატიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**




**იტალიურმა** „პალერმომ" გადაწყვიტა, ვეტერან კოლუმბიელ გოლკიპერ ფარიდ მონდრაგონთან კონტრაქტი აღარ გააფორმოს. „ჩვენს ამჟამინდელ მეკარეს ცოტა ხნის წინ ვთხოვე, დარჩენილიყო და გარანტია მივეცი, რომ პრობლემები არ იქნებოდა. ასე რომ, მონდრაგონისადმი პატივისცემის მიუხედავად, დაპირებას შესრულება უნდა" — თქვა სიცილიელთა თავკაცმა ჯიჯი დე ნერიმ.

**ინგლისურმა** „ჩელსიმ" პორტუგალიელი მცველი ნუნუ მორიაში „მარიტიმუში" გაანათხოვრა. ახალგაზრდა და პერსპექტიული ფეხბურთელი ჯერჯერობით ლონდონელთა მთავარი მწვრთნელის ჟოზე მაურინიოს გეგმებში არ შედის.

**უკრაინული** „დინამოს" ლატვიელი ფორვარდი მარის ვერპაკოვსკისი შესაძლოა, „ბენფიკაში" აღმოჩნდეს. გავრცელებული ცნობით, ლისაბონელებს კონტრაქტი უკვე მზად აქვთ და პასუხს ელოდებიან.

**იტალიური** პრესა იუწყება, რომ „კალიარი" პანამის ნაკრებისა და „დეპორტივო არაბე უნიდოს" კარის დარაჯ ხაიმე პენედოს დაიმატებს. ამბობენ, სარდინიელები მასთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებენო.

**ინგლისურმა** „მანჩესტერ იუნაიტედმა" თავის ბრაზილიელ ლეგიონერ კლებერსონის მსურველები — „სელტა" და „ბეშიქთაში" — უარით გაისტუმრა. როგორც ჩანს, 26 წლის ნახევარმცველს „წითელი ეშმაკების" რიგებში დამკვიდრების კიდევ ერთ შანსს მისცემენ.

**ბელგიური** „ანდერლეხტის" თავკაცმა ფრანკ ვერკოტერენმა აღნიშნა, რომ კლუბისა და მთლიანად ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელ ვენსან კამპანოს გაყიდვაზე საუბარიც ზედმეტია. 19 წლის ნიჭიერმა მცველმა ცოტა ხნის წინ ბრიუსელელებთან 2010 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი, არადა, მას „რეალი", „ბარსელონა", „მანჩესტერი", „ჩელსი" და „მილანი" უტრიალებდნენ.

**იტალიური** „რომას" ვარსკვლავი ანტონიო კასანო სავარაუდოდ „სტადიო ოლიმპიკოზე დარჩება. აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, „ხულიგანი" მომავალ კვირაში კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ამ ხნის მანძილზე 32 მილიონ ევროს მიიღებს.

**ჩეხეთის** ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოთამაშე ტომაშ იუნი კარიერას ალბათ „ტრაპიზონში" გააგრძელებს. პრაღის „სპარტას" 22 წლის თავდამსხმელს ინგლისური „ფულემი" და „ბირმინგემიც" უტრიალებენ, თუმც თურქები ამ დროისთვის სხვებზე მეტს იხდიან.

**ინგლისური** „არსენალის" თავკაცმა არსენ ვენგერმა აღნიშნა, რომ ოლივიე დაკურის ყიდვით დაინტერესებული არ არის. „ეს უბრალოდ ჭორებია, მე კმაყოფილი ვარ იმ შემადგენლობით, რომელიც მყავს. მხოლოდ ისეთ მოთამაშეებს დავიმატებთ, რომლებიც გუნდს ძალიან სჭირდება. რა თქმა უნდა, თუ სატრანსფერო ბაზარზე ასეთებს ვიპოვით" — თქვა ფრანგმა სპეციალისტმა.

**ესპანურ** პრიმერადივიზიონში აღზევებულმა „კადისმა" გამოცდილი არგენტინელი მცველი ედუარდო ბერისო დაიმატა. „სელტას" ყოფილმა ფეხბურთელმა კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 35 წლის ბერისო „კადისში" თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა.

**იტალიური** ფეხბურთისა და „ფიორენტინას" ვეტერანი, ორმოცს მიტანებული ანჯელო დი ლივიო სავარაუდოდ „იების" მწვრთნელის თანაშემწედ იმუშავებს, მომავალში კი ეგებ გუნდის თავკაცადაც მოგვევლინოს. ფლორენციელებმა გადაწყვიტეს, მასთან კონტრაქტი აღარ გაეგრძელებინათ და დი ლივიოც ამას გაგებით მოეკიდა. ცოტა ხანში იგი ალბათ ოფიციალურად განაცხადებს სათამაშო კარიერის დასრულების შესახებ.

**ესპანური** „სევილიას" შემტევი ნახევარმცველი ჟულიო ბაპტისტა შესაძლოა, „არსენალის" ნაცვლად „რეალში" აღმოჩნდეს. მადრიდელებს მისი თანაგუნდელის სერხიო რამოსის შეძენაც სდომებიათ. ამბობენ, „სამეფო კლუბი" ორივე ფეხბურთელში 37 მილიონ ევროს იხდისო. „არ გამოვრიცხავ, რომ სეზონის დაწყებამდე სხვა კლუბში გადავიდე, მაგალითად „რეალში". მადრიდელებს უარს ვერასოდეს ვერ ვეტყოდი. მათ რიგებში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი პატივია" — განაცხადა ბაპტისტამ.

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები



ანართოსისი — ტრაბზონსფორი. თურქებთან თავი ქართველმა კლიმენტი წიტაიშვილმაც (№9) გამოიჩინა

# რეინამ ლიტვური დაამგლოვნა

**ანართოსისი (კვიპროსი) 3:1 ტრაბზონსფორი (თურქეთი)**
1:0 ნიკოლაუ (25), 1:1 ფათიჰ ტეკე (75), 2:1 ფრუსოსი (82), 3:1 წიტაიშვილი (90)
**ანართოსისი:** გეორგალიდისი. ქსენიდისი, კაცავაკისი, პურსაიტიდისი, ჰაბერი, ძიცბაია, ნიკოლაუ (ფრუსოსი 65), სამარასი (ჰაჯი 20), მარაგოსი, წიტაიშვილი, კაბადაისი
მსაჯი: ტომი სკიერვენი (ნორვეგია)
15 000 მაყურებელი

**დინამო (უკრაინა) 2:2 თუნი (შვეიცარია)**
1:0 ო. გუსევი (20), 1:1 როდოლფო (38ს.კ.), 2:1 შაცკიხი (43), 2:2 აგერტერი (65)

**ანდერლეხტი (ბელგია) 5:0 ნეფთჩი (აზერბაიჯანი)**
1:0 ტიჰინენი (20), 2:0 იესტროვიჩი (23), 3:0 მ. მპენზა (32), 4:0 გოორი (40), 5:0 ვანდერეგე (78)
**ნეფთჩი:** ჰასანზადე (მიკოვიჩი 46), აბასოვი, აბრამიძე, გაფიტულინი (გეტმანი 9), ა. სადიგოვი, ბორეცი, მამედოვი, კორდასი, ადამია, მიშურა (სუბაშიჩი 74), ნაბიევი
მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)
21 055 მაყურებელი

**კაუნასი (ლიტვა) 1:3 ლივერპული (ინგლისი)**
1:0 ბარევიჩუსი (21), 1:1 ჯ. სისე (27), 1:2 კარაგერი (30), 1:3 ჯერარდი (54პ)
**კაუნასი:** კურსკისი, ბაგუჟისი, კანჩელსკისი, მანჩხავა, ზემლიკასი, ბარევიჩუსი (პაპეჩკისი 71), პაცევიჩუსი (პეტრენკო 46), ტამოსაუსკასი (მაციულისი 87), კლიმეკი, პოდერისი, რიმკევიჩუსი
მსაჯი: კნუდ-ერიკ ფისკერი (დანია)
8 300 მაყურებელი

**ვოლერენგა (ნორვეგია) 1:0 ჰაკა (ფინეთი)**
1:0 დუშ სანტუში (53)

**ჩემპიონთა** თასის მფლობელ „ლივერპულს" კაუნასში ოცდამეერთე წუთზე დასცხა, როცა ბარევიჩუსმა რიმკევიჩუსის პასით რეინას ახლოდან გაუტანა. წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე „ლანსანტფრეიდთან" ორივე მატჩში რეინამ კარი „მშრალად" შეინახა, მაგრამ „ლივერპულის" ახალწვეულმა მეკარეს პირველი გოლის გემო ლიტველებმა გაასინჯეს.

რაფაელ ბენიტესმა „კაუნასთან" ძირითადი შემადგენლობა გაიყვანა, „საუთჰემპტონიდან" შეძენილ აყლაყუდა პიტერ კრუჩს კი დებიუტი მოუწყო. ჯიბრილ სისემ სწორედ კრუჩის ნათავურალ ბურთს მიაყოლა საგოლე დარტყმა და ანგარიში მალევე გაათანაბრა.

სამი წუთის შემდეგ სტუმრები დაწინაურდნენ. სტივენ ჯერარდმა კუთხური ჩააწოდა, ჯეიმი კარაგერმა კი თავურით მეორე გაიტანა. ეს გოლი კარაგერისთვის ექვს წელიწადში პირველი გამოდგა. ტაიმის მიწურულს სისეს დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ ზელმიკასმა ბურთი კარის ხაზიდან გამოაძრო.

მეორე ტაიმის დასაწყისში მინდაუგას ბაგუჟისმა სტივენ ჯერარდი საპენალტეში წააქცია, „ლივერპულის" კაპიტანმა კი დარტყმა ითავა და მეექვსე „საკვალიფიკაციო გოლი მიითვალა. შეგახსენებთ, რომ ჯერარდმა „ლანსანტფრეიდს" ორ შეხვედრაში ხუთი გაუტანა.

„მატჩი მძიმე გამოდგა, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვარ — განაცხადა ბენიტესმა — თამაშს ვაკონტროლებდით, დაცვაში მხოლოდ ერთხელ შევცდით და ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა".

„თუნის" ბოსნიელმა მეკარემ ელდინ იაკუპოვიჩმა კიევში „თავი გაიგიჟა" და შვეიცარიულმა გუნდმა „დინამოსთან" ფრე გაახერხა. თამაშის დაწყებიდან თხუთმეტი წუთში იაკუპოვიჩმა ოთხჯერ „გამოაძრო" ბურთი კარიდან, ოლეგ გუსევის დარტყმულს კი ველარ შესწვდა და მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს. შემდეგ მაქსიმ შაცკიხი გავიდა ბორნიელთან პირისპირ, მაგრამ მეკარემ აჯობა. შესვენებამდე შვიდი წუთით ადრე თუნმა" კიეველთა ბრაზილიელი მცველის შეცდომით იხეირა. როდოლფო შოვკოვსკის დაზღვევას ცდილობდა და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. სტუმრებს პირველივე ტაიმში დაწინაურებაც შეეძლოთ. ნესმაჩნიმ მეკარეს უშნოდ დაუგორა ბურთი, რომელსაც ნელოსნ ფერეირა ჩაუსაფრდა, მაგრამ „თუნის" ფორვარდმა კარს ააცილა. სამაგიეროდ, არ ააცილა შაცკიხმა და ტაიმის მიწურულს „დინამო" დააწინაურა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა კონტრშეტევაზე გადაწყობა სცადეს, თუმც „თუნმა" მალევე გაათანაბრა.

დარჩენილ დროში „დინამო" უტევდა, მაგრამ ელდინ იაკუპოვიჩმა კარში წასული ყველა ბურთი მოიგერია.

ბაქოს „ნეფთჩიმ" ოცი წუთი გაუძლო „ანდერლეხტს", მერე კი მეკარე ჰასანზადე ბადიდან ბურთების გამოტანას ველარ ასწრებდა. ბელგიელებმა პირველივე ტაიმში ოთხი გოლით მოამთავრეს საქმე, ხოლო შესვენების შემდეგ ბაქოელებს ერთი აკმარეს.

სკანდინავიურ დერბიში ბრაზილიელი ჩაიერია და „ვალერენგამ" „ჰაკას" ფრედი დუშ სანტუშის პენალტით მოუგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტრაპმა ბალაკს არ შეარგო

**გერმანია**

**ლიგის თასი**
**ნახევარფინალი**

**ბაიერნი 1:2 შტუტგარტი**
1:0 მაკაი (19), 1:1 ჰიცლშპერგერი (22), 1:2 შტრანცლი (90)
*მაკაიმ ვერ გაიტანა პენალტი (82, მეკარე)*
**ბაიერნი:** რენსინგი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, დაისლერი (დემიკელისი 59), ჰარგრივსი (კარიმი 46), შვაინსტაიგერი (კ. პიზარო 80), მაკაი, სანტა კრუზი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, დელპიერი, ფ. მეირა, შტრანცლი, მანინი, ტიფერტი (გენტნერი 30), მაისნერი (ფუვკოვიჩი 42), სოლდო, ჰიცლშპერგერი, გომესი (ტომასონი 77), კაკაუ
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: ჰარგრივსი, ისმაელი, ლუსიო
მსაჯი: კინჰოფერი
40 000 მაყურებელი

**ჯოვანი ტრაპატონის** „შტუტგარტისთვის" ვარჯიშებზე წესიერად სამჯერაც არ დაუსტვენია და გუნდი უკვე ფინალში გაიყვანა. ლიგის თასის მეოთხედფინალში „ჰერტას" ძლევის შემდეგ „შტუტგარტმა" ნახევარფინალში მიუნხენის „ბაიერნიც" დაარტყა. ამ შეხვედრაშიც შეცვლაზე შესულმა დალ ტომასონმა იყოჩაღა. მარტინ შტრანცლმა დანიელის პასით ბოლო წუთზე მეორე გოლი გაუტანა „ბაიერნს". შეგახსენებთ, რომ [illegible] ტების სერიაში „შტუტგარტს" [illegible] ტომასონმა მოაგებინა.

„ბაიერნი" როი მაკაის თავურით მეთვრამეტე წუთზე დაწინაურდა. [illegible] ოლანდიელის დარტყმული ბურთი ჰილდებრანდს ფეხებშუა გაუძვრა და კარში შევარდა. სამი წუთის შემდეგ ჰიცლშპერგერმა მიხაელ რენსინგს გაუტანა, რომელიც [illegible] მირებული ოლივერ კანის ნაცვლად იდგა. თამაშის დასრულებამდე [illegible] წუთით ადრე მსაჯმა „ბაიერნის" სასარგებლოდ პენალტი დანიშნა, რომელიც მაკაიმ უხეიროდ შეასრულა — ჰილდებრანდმა ბურთი მოიგერია. ოლივერ კანის გარდა „ბაიერნს" მიხაელ ბალაკიც არ ჰყავდა, მიუნხენურ გუნდში კი [illegible] რიან ისმაელის დებიუტი შედგა.

„კიკერის" გამოკითხვით, გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ბალაკი დაასახელეს. „ბაიერნისა" და ნაკრების კაპიტანმა [illegible] ხმა მიიღო, მისმა [illegible] კას პოდოლსკიმ კი — 103.

მწვრთნელებში პირველობა ფელიქს მაგათს (443 ხმა) ერგო, ხოლო „მაინცის" თავკაცმა იურგენ კლოპეს ასი ხმით ნაკლები [illegible] და მეორეზე გავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**





მიხაელ ბალაკის „ბაიერნი" ჯოვანი ტრაპატონიმ დაარტყა

# ბიანკონერის რჩეული ზლატანი
## ნორჩი და უკვე ბევრის გამტანი

**ცოტა ხნის** წინ ტურინის „იუვენტუსის" ქომაგებმა გასულ სეზონში თავიანთი საყვარელი კლუბის საუკეთესო მოთამაშედ ზლატან იბრაჰიმოვიჩი აღიარეს. ძნელია, ამ მოსაზრებას არ დავეთანხმოთ და კიდევ ერთხელ არ აღვნიშნოთ, რომ „აიაქსის" ყოფილმა ფორვარდმა, რბილად თუ ვიტყვით, „ბებერი ქალბატონის" მოლოდინი გაამართლა. შვედი პირველსავე სეზონში ჩინებულად მოერგო გუნდს და ძალიან სასარგებლოდაც იბურთავა.



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ამაში „იუვეს" თავკაც ფაბიო კაპელოს დიდი წვლილი მიუძღვის. გამოცდილი ტაქტიკოსი 23 წლის თავდამსხმელისადმი დიდი სიმპათიით არის განწყობილი და მას ყოველთვის ბოლომდე ენდობა. ამ[illegible] თვლის თავად ზლატანიც.

„ქომაგების მადლიერი ვარ, მაგრამ მინდა, განსაკუთრებულად გადავუხადო მადლობა ფაბიო კაპელოს. იგი თავიდანვე მენდობოდა და ჩემში ეჭვი არასოდეს შეპარვია. ეს კი იტალიურ ფეხბურთში სწრაფ ადაპტაციაში დამეხმარა და მწვრთნელის წყალობით ყველაფერი კარგადაა. ჩვენ ერთმანეთს ბატივს ვცემით და შესაბამისად, ორივენი გამარჯვებულები ვართ" — განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

ბოლოს კი „ბიანკონერის" წლის საუკეთესო ფეხბურთელმა სიტყვა მომავალ სეზონზეც ჩამოაგდო: „შარშან მე სკუდეტოს მოგებაც მინდოდა და ჩემპიონთა ლიგისაც. საბოლოოდ მხოლოდ სკუდეტო დაგვრჩა და ახლა პრიორიტეტს ლიგას ვანიჭებთ, თუმც ისევ ყველაფრის მოგება გვინდა. აქამდე სუპერიოზული შემადგენლობა გვყავდა, პატრიკ ვიეირამ კი ერთიორად გაგვაძლიერა. ის ფანტასტიკური მოთამაშეა და ემერსონთან ერთად ნახევარდაცვაში ბრწყინვალე წყვილს შექმნის".

**გიორგი ძაძამიძე**

(დასაწყისი იხილეთ №146, №152, №158, №164 „სარბიელი“)

# მე ყველას ვაჩვენე

## კატასტროფა ფინალში

1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს“ შევხვდით. 1:0-ს ვიგებდით და თამაშის დამთავრებამდე წუთები რჩებოდა. მანჩესტერელებს შანსი თითქმის არ ჰქონდათ, მაგრამ ოთხმოცდამეათე წუთზე გაგვიტანეს. მაშინ ვიფიქრე, რომ დამატებით დროში ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევდა, მაგრამ ვინ გვაცალა, უმალ მეორე გაგვიშვით და 1:2 — ეს მეგაკატასტროფა იყო.

წაგებას არ ვიმსახურებდით. მანჩესტერელი ფეხბურთელები ქომაგებთან ერთად ზეიმობდნენ, ჩვენ კი მოედანზე გაოგნებულები ვიწექით. ზოგი ტიროდა, ერთმანეს სიტყვაც ვერ ვუთხარით. სრულიად გამოფიტული ვიყავი. 31 წლის კაცისთვის ეგებ ეს ბოლო შანსი ყოფილიყო ჩემპიონთა ლიგის მოგებისა. „ბაიერნმა“ ორ წუთში დაკარგა ის, რისთვისაც მთელი სეზონი იშრომა. ფინალური მატჩი ვიდეოზე განმეორებით არასოდეს მინახავს, ერთი მომენტისთვისაც კი არ შემიხედავს და ამას ვერც ვერასოდეს შევძლებ.

„ბაიერნის“ სათადარიგო მეკარე ბერნარდ დრეერთან ერთად დოპინგტესტზე შევედი. ჩვენ გვერდით შერინგემი იდგა და სიხარულისგან „ფრინავდა“. მისი შემხედვარე ისე დავიტანჯე, რომ ტესტის შემდეგ კათხა ლუდი წამებში ჩავიპირქვავე. მერე ბანკეტი მოაწყვეს. ზოგიერთ დაკრძალვაზე უფრო მხიარული ხალხი მინახავს, ვიდრე ამ ბანკეტზე „ბაიერნის“ ფეხბურთელები იყვნენ.

ლიგის ფინალს გერმანიის თასის ფინალი მოჰყვა. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა და პენალტების ჯერი დადგა. არასოდეს შემშინებია პენალტის დარტყმისა და კარგადაც ვასრულებდი, ამჯერად კი ბურთი კარს ნახევარი მეტრით ავაცილე. მერე ლოთარ მათეუსმაც აიცილა, მაგრამ მისთვის საყვედური არავის უთქვამს, წაგება მე დამაბრალეს. მხოლოდ ოტმარ ჰიცფელდი გამომექომაგა. თასის ფინალის შემდეგ ბანკეტზე დამიძახა და მითხრა, მომდევნო სეზონიდან კაპიტანი იქნებიო.

## დისკოთეკა 147 ათას მარკად

2000 წლის შემოდგომაზე ტრავმირებული ვიყავი და ვარჯიშებზე არ დავდიოდი. შაბათი იყო. მე, ჩემი ცოლი მარტინა და ჰასან სალიჰამიჯიჩი დისკოთეკაზე „P1“-ში წავედით. მაგიდა ადრევე შევუკვეთეთ. როგორც ყოველთვის, ბარში ბლომად ხალხი ირეოდა. ჩვენს მაგიდასთან გალეშილი კაცი იჯდა. ვთხოვეთ, სხვაგან გადამჯდარიყო. კაცი ძლივს წამოდგა. სანამ დავსხდებოდით, ვიღაც ქალი მოგვიახლოვდა და გვითხრა: „თავი დაანებეთ!“ ვერ მივხვდით, რატომ გვეჩხუბებოდა. უცბად შამპანურით სავსე ჭიქა აიღო და სახეში შემასხა. კინაღამ გავგიჟდი, თავი ძლივს შევიკავე, ქალი კი მშვიდად მიბრუნდა თავის მეგობრებთან.

რამდენიმე წუთის შემდეგ იმ ქალბატონის თანამესუფრეებმა მომაძახეს: „ეფენბერგ, ჩვენ ყველაფერი დავინახეთ, დანარჩენს კი ხვალ გაზეთებში წაიკითხავ“. ჩემმა ნაცნობმა რობერტმა მირჩია, წავსულიყავით, რადგან ქალბატონს თურმე პოლიციაში დარეკვა და იმის თქმა მოესწრო, რომ მე ის ვცემე. ჩვენ წავედით და სხვა ბარში გადავინაცვლეთ.

მეორე დღეს, კვირას, „ბაიერნის“ ფეხბურთელები ოქტობერფესტის ალსანიშნავად შევიკრიბეთ. კლუბის პრესმდივანმა მარკუს ჰერვიგმა ცალკე გამიყვანა და მკითხა: „შტეფან, გუშინ „P1“-ში რა მოხდა? მან უკვე ყველაფერი იცოდა. ჰერვიგს ქალაქის თითქმის ყველა დისკოთეკაზე სამ-სამი „ჯაშუში“ ჰყავდა, რომლებიც პრესმდივანს უყვებოდნენ, „ბაიერნის“ ფეხბურთელებიდან ვინ რამდენი დალია და როგორ მოიქცა. უცნაური კაცი იყო და მარკუს ჰერვეგი. მე გულახდილად მოვუყევი, რაც დისკოთეკაზე მოხდა. მან მოცდა მირჩია, ვნახოთ, რა მოხდებაო.

ჰერვიგმა საღამოს დამირეკა: „ხვალ გაზეთები შენს ამბავს დაწერენ, ამიტომ თავის გასამართლებელი რამე უნდა მითხრა, რომ პრესას გადავცე“. ორშაბათის გაზეთების სათაურები ერთმანეთის მსგავსი იყო: „ეფენბერგმა ქალს სცემა“. ჰიცფელდმა დილით „ლექცია წამიკითხა“. ვუპასუხე, რომ ჯარიმას არ გადავიხდიდი, რადგან უდანაშაულო ვიყავი. ჩემი საქმის გასარჩევად საგანგებოდ შეიკრიბნენ ჰოენესი, ჰიცფელდი და ვიცე-პრეზიდენტი შიორერი. უკვე მესამედ მოვყევი ყველაფერი, მაგრამ 10 ათასი მარკით დაჯარიმება მაინც არ ამცდა.

ქალბატონმა მიჩივლა, მე კი ადვოკატს დახმარება ვთხოვე. ერთი მარკის გადახდასაც არ ვაპირებდი, მაგრამ ადვოკატმა მითხრა, ქალს ბევრი მოწმე ჰყავს და ძალიან მცირე შანსია, „სუფთად“ გამოძვრეო. თავიდან 400 ათას მარკას ითხოვდა, მაგრამ ვექილებმა სასამართლოს გვერდის ავლით ივაჭრეს. იმ დროს ამერიკაში წასასვლელად „გრინ ქარდს“ ველოდი და სასამართლოში სირბილი ხელს არ მაძლევდა. ჩემს ადვოკატს ვარწმუნებდი, მოწმე მეც მყავს-მეთქი. სალიჰამიჯიჩს დავურეკე: „შენ ხომ ნახე, რომ ის ქალი არ მიცემია?“ „არაფერი მინახავს“ — მიპასუხა ჰარანმა. „მეგონა, მეგობრები ვიყავით — ვუთხარი — რა მოგივიდა? ტყუილის თქმას არ გთხოვ, სიმართლე თქვი!“ შტეფან, ბოდიში, მაგრამ არაფერი მინახავს“.

„გრინ ქარდის“ გამო დავთმე და ქალის გასაჩუმებლად 147 ათასი მარკა გავამზადე. ჩემი ხელით გამოვწერე თანხა, რომლის გადახდაც ნაღდად არ მეკუთვნოდა.

## ბავარიელი ჩამშვები

„ბაიერნისთვის“ შობის დღესასწაული ყოველთვის განსაკუთრებული იყო. აუცილებლად ჰალსტუხით და შარვალ-პიჯაკით მისვლას არავინ გვთხოვდა. 2000 წლის დეკემბერში ბანკეტზე შინდისფერი ტყავის შარვლით და შავი ტყავის ქურთუქით გამოვცხადდი. შარვალი საკმაოდ ძვირი იყო, მე კი ჰიპურად გამოვიყურებოდი. პატრიკ ანდერსონიც ტყავში გამოწყობილი მობრძანდა, მაგრამ ჩვენი სამოსი არავის გაჰკვირვებია. ბანკეტს ჟურნალისტები არ ესწრებოდნენ და საღამომ მშვიდად ჩაიარა.

მეორე დღეს შვებულებაში წავედი და ვერ შევესწარი იმ აურზაურს, რაც მიუნხენში ჩემი ტანსაცმლის გამო მოხდა. ერთ-ერთ ჟურნალისტს ბანკეტზე ჯაშუში ჰყოლია, რომელსაც გამოჰკითხა, რაიმე სენსაციური ხომ არ მოხდაო. ჯაშუშს უთქვამს, ეფენბერგი სამარცხვინო ფერის შარვლით მოვიდაო. გაზეთებსაც მეტი რა უნდოდათ და „დაქოქეს“...

შვებულებიდან დაბრუნებულმა ყველაფერი შევიტყვე. იმ გაზეთის რედაქტორს მივაკითხე და ჯაშუშის დასახელება ვთხოვე, მაგრამ იუარა. „მაშინ ჩემგან ინტერვიუს ველარასოდეს მიიღებ“ — ვუთხარი მე. შანტაჟმა გაჭრა და რედაქტორმა ჩამშვები „გაცეცა“. ეს კაცი აღმოჩნდა [illegible], რომელიც [illegible] და ჩემი შარვალი არ მოსწონებია.

იმ ბანკეტზე კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ფრანც ბეკენბაუერი მოვიდა და მითხრა, „მეგობრობით“ ვილაპარაკეთ. „შტეფან, დღეიდან შენთვის ფრანცი ვარ. კარგად ვხედავ, რაც კლუბისთვის გააკეთე“.

ბეკენბაუერის ნათქვამი მოულოდნელი და სასიამოვნო იყო. „გმადლობთ — ვუპასუხე — სანაცვლოდ გპირდები, რომ ხუთი თვის შემდეგ ჩემპიონთა თასს ჩაგაბარებ“.

## ული ჰოენესის ჰალუცინაციები

2001 წლის ზამთარში ესპანეთში შეკრებაზე ვიყავით. ული ჰოენესმა დამიბარა და მითხრა, ვარჯიშის შემდეგ ჩემთან შემოიარეო. საღამოს ჰოენესთან შევედი. იქ ოტმარ ჰიცფელდი და „ბაიერნის“ ექიმი მიულერ-ვოლფარტი დამხვდნენ. „შტეფან! — დაიწყო ექიმმა — მიუნხენში ჭორაობენ, ეფენბერგი ნარკოტიკებს ეტანებაო.“ გულიანად გადავიხარხარე. ვიღაც ნაბიჭვარს დაურეკავს ჰოენესისთვის და ჩაუწვეთებია ეს სისულელე. მაშინვე დავთანხმდი თმის ანალიზზე. გერმანიაში დაბრუნებულმა მიულერ-ვოლფარტს თმა ჩავაბარე. ერთ დღეში პასუხს შემპირდა, მაგრამ რამდენიმე კვირა გავიდა. მეც მივავიწყდა, მერე კი უცბად გამახსენდა და დავურეკე. „იპოვეთ რამე?“ — ვკითხე ექიმს. „რა თქმა უნდა არა, რომ მეპოვა, მალევე გეტყოდი“ — მიპასუხა მან.

ნარკოტიკზე კარსტენ იანკერიც შემოწმება მოინდომეს, მაგრამ თმა არ ჰქონდა. ამიტომ კარგა ხანს მოუწია ექიმს ლოდინი, სანამ იანკერს თმა გაეზრდებოდა. ხალხმა იფიქრა, კარსტენი იმიჯის იცვლისო, მე კი დავცინოდი.

როგორ ჩაგვიმწარა ბეკენბაუერმა ბანკეტი

„ლიონთან“ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად 0:3 წავაგეთ, რამაც ფრანც ბეკენბაუერი გააცეცხლა. მარცხის შემდეგ „კაიზერ ფრანცი“ მეგობრობას ივიწყებდა და სათქმელს პირდაპირ გვეუბნებოდა. ნამატჩევს ბანკეტი გვქონდა. ბეკენბაუერმა გვითხრა, პენსიონერებივით დადიოდით მოედანზეო. ხასიათი ყველას წაგვიხდა და ფეხბურთელები დარბაზიდან გავედით. ფრანცი ამან კიდევ უფრო გააბრაზა და გაკვირვებისგან თვალები დააჭყიტა.

მე, ელბერი, იანკერი, ბიზარი და სანტა კრუსი სასტუმროში, ჩემს ნომერში შევიკრიბეთ. ბეკენბაუერი ლანძღვით გული ვიჯერეთ, თან გაუფილტრავი ლუდი ვსვით. კარგად გამოვტყვერით და პირობა დავდეთ, რომ ჩემპიონთა ლიგას აუცილებლად მოვიგებდით. მთელი ღამე სასტუმროში დავეხეტებოდი და ლუდს ვარიგებდი.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰიცფელდს ვუთხარი, როგორც კაპიტანს თანაგუნდელებთან საუბარი მსურს-მეთქი. ბიჭები შევაგულიანე: ბეკენბაუერმა პენსიონერები გვიწოდა და დავუმტკიცოთ, რომ ცდება. ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს და ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია.

(გაგრძელება შემდეგ ხუთშაბათს)






შტეფან ეფენბერგის კარიერის ერთ-ერთი ყველაზე შავი დღე „ბაიერნის“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მარცხიც იყო

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**შოტლანდია**
**პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 15:30 | 294 | მოზერუელი-სელტიკი | 8.50 | 4.30 | 1.25 | 2.85 | 1.08 | 1.00 |
| 18:00 | 295 | დანდი-აბერდინი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 18:00 | 296 | ფოლკირკი-ინვერნესი | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 297 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1.60 | 3.50 | 4.60 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| 18:00 | 298 | კილმარნოკი-ჰარტსი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 299 | რეინჯერსი-ლივინგსტონი | 1.15 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.75 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 5 | ლევერკუზენი-ქემნიცი | 2.05 | 3.40 | 2.85 | 1.27 | 1.19 | 1.55 |
| 21:30 | 7 | ვერდერი(მ)-ზტ.პაული | 2.95 | 3.30 | 2.10 | 1.55 | 1.22 | 1.28 |
| 21:30 | 8 | დიუსელდორფი-ოსნაბრიუკი | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 16:00 | 1 | ერფურტი-კიოლნი(მ) | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 16:00 | 2 | ვუპერტალი-აჰენა | 1.75 | 3.40 | 3.75 | 1.15 | 1.19 | 1.78 |
| 16:00 | 3 | კიკერსი-ესენი | 2.90 | 3.40 | 2.10 | 1.56 | 1.21 | 1.29 |
| 16:00 | 4 | ობერჰაუზენი-კილი | 2.05 | 3.30 | 2.90 | 1.26 | 1.20 | 1.54 |
| 16:00 | 6 | ლიუბეკი-ვატენშეიდი | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 16:00 | 9 | პერტა(მ)-მიუნსტერი | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 11 | აუსტრია-რიდი | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 21:30 | 12 | გრაცერი-მატერსბურგი | 1.35 | 4.50 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.73 |
| 21:30 | 13 | ზალცბურგი-რაპიდი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 21:30 | 14 | ტიროლი-ადმირა | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 10 | პაშინგი-შტურმი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |

**შვეიცარია. ჩელენჯლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 30 | ბადენი-ვინტერთური | 2.00 | 3.20 | 3.30 | | 1.24 | 1.62 |
| 21:30 | 31 | ვოლენი-ვილი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 33 | ლოკარნო-მეირინი | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| 21:30 | 34 | ლოზანა-ლუცერნი | 1.65 | 3.20 | 4.80 | 1.08 | 1.22 | 1.91 |
| 21:30 | 35 | კრინსი-კონკორდია | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 21:30 | 36 | კიასო-ლუგანო | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 19:30 | 37 | იუვენტუსი-შო დე ფონი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 32 | ვადუცი-სიონი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 16:30 | 38 | ბოლმი-ბელინცონა | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |

**საფრანგეთი**
**I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 40 | პსჟ-მეცი | 1.60 | 3.20 | 5.30 | 1.06 | 1.22 | 1.99 |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 19:15 | 39 | მარსელი-ბორდო | 1.75 | 3.00 | 4.50 | 1.10 | 1.25 | 1.79 |
| 22:00 | 41 | ნიცა-ტრუა | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 22:00 | 42 | სოშო-ტულუზი | 2.00 | 2.90 | 3.50 | 1.18 | 1.27 | 1.58 |
| 22:00 | 43 | სტ.ეტიენი-აიაჩო | 1.70 | 3.10 | 4.60 | 1.09 | 1.24 | 1.85 |
| 22:00 | 44 | სტრასბური-ოსერი | 2.10 | 2.90 | 3.20 | 1.21 | 1.26 | 1.52 |
| 22:00 | 45 | ნანსი-მონაკო | 3.30 | 2.80 | 2.10 | 1.51 | 1.28 | 1.20 |
| 22:00 | 46 | ნანტი-ლანსი | 2.30 | 2.80 | 3.00 | 1.26 | 1.30 | 1.44 |
| 22:00 | 47 | ლილი-რენი | 1.90 | 2.90 | 3.80 | 1.14 | 1.26 | 1.64 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 48 | ლე მანი-ლიონი | 3.80 | 2.90 | 1.90 | 1.64 | 1.26 | 1.14 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 49 | ამიენი-გრენობლი | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| 22:30 | 50 | კრეტეი-კაენი | 2.70 | 2.90 | 2.50 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| 22:30 | 51 | შატორუ-ბასტია | 2.55 | 2.80 | 2.70 | 1.33 | 1.31 | 1.37 |
| 22:30 | 52 | ლავალი-ისტრი | 2.70 | 2.80 | 2.55 | 1.37 | 1.31 | 1.33 |
| 22:30 | 53 | მონპელიე-ლე ავრი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 22:30 | 54 | ვალენსიენსი-დიჟონი | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 22:30 | 55 | კლერმონი-სეტე | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 22:30 | 56 | რეიმსი-ლორიანი | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 22:30 | 57 | ბრესტი-გენიონი | 2.05 | 2.80 | 3.50 | 1.18 | 1.29 | 1.55 |

**რუსეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 58 | ამკარი-სპარტაკი | 4.00 | 3.00 | 1.85 | 1.71 | 1.26 | 1.14 |
| 14:00 | 59 | როსტოვი-სატურნი | 2.55 | 2.80 | 2.95 | 1.33 | 1.36 | 1.43 |
| 14:00 | 60 | ტერეკი-ზენიტი | 3.50 | 2.90 | 2.15 | 1.58 | 1.33 | 1.23 |
| 14:00 | 61 | რუბინი-მოსკოვი | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 14:00 | 62 | ლოკომოტივი-ცსკა | 2.75 | 2.80 | 2.70 | 1.38 | 1.36 | 1.37 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 64 | ალანია-ტორპედო | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |

**დანია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 114 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 115 | ორჰუსი-ვიბორგი | 2.40 | 3.40 | 2.50 | 1.40 | 1.22 | 1.44 |
| 17:00 | 116 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 17:00 | 117 | ჰორსენსი-ოდენსე | 3.90 | 3.40 | 1.85 | 1.81 | 1.25 | 1.19 |
| 17:00 | 118 | სილკებორგი-სონდერიისკე | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 19:30 | 119 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3.00 | 3.30 | 2.20 | 1.57 | 1.26 | 1.32 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**ნორვეგია. ტიპელიგა**

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 129 | ლინი-ლილესტრიომი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 21:00 | 135 | ბრანი-ვოლერენგა | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 130 | ჰამარი-ტრომსიო | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 20:00 | 131 | ოდ გრენლანდი-ალესუნდი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 20:00 | 132 | რუსენბორგი-ბოდიო გლიმტი | 1.35 | 4.70 | 7.00 | 1.04 | 1.13 | 2.81 |
| 20:00 | 133 | სტარტი-მოლდე | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 20:00 | 134 | ვიკინგი-ფრედრიკსტადი | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

**28 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 140 | ჰალმსტადი-გიოტებორგი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |

**შვედეთი. სუპერეტა**

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 147 | ლიუნგსკილე-გაის | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |

**1 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 148 | ბოდენსი-იორებრო | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 21:00 | 149 | ბრომაპოიკარნა-ვესტეროსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 21:00 | 150 | მიალბი-ატვიდაბერგი | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |

**ფინეთი**

**28 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 152 | ლაჰტი-ტამპერე | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 153 | ჰიკ-როვანიემი | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |

**ირლანდია**

**29 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 162 | უოტერფორდი-დერი | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 22:45 | 163 | ბოჰემიანი-დუბლინი | 1.65 | 3.20 | 4.60 | 1.08 | 1.21 | 1.88 |
| 22:45 | 164 | დროგედა-ლონგფორდი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 22:45 | 165 | სტ.პატრიკსი-კორკი | 4.00 | 3.10 | 1.85 | 1.74 | 1.26 | 1.15 |
| 22:45 | 166 | ბრეი-შემროკი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |

**ბრაზილია**

**28 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 186 | ფლამენგო-პალმეირასი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 187 | ბრაზილიენსე-პაისანდუ | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 23:45 | 188 | ფიგეირენსე-კურიტიბა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 23:45 | 189 | ინტერნასიონალი-პარანა | 1.60 | 3.30 | 4.90 | 1.07 | 1.20 | 1.97 |

**უეფას თასი**

**28 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 216 | აშტარაკი-მაინცი | 5.50 | 3.60 | 1.45 | 2.17 | 1.14 | 1.03 |
| 19:00 | 217 | ვენშპილსი-ლინფილდი | 1.35 | 3.80 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.39 |
| 22:00 | 218 | ვარდარი-ელბასანი | 1.30 | 4.40 | 6.50 | 1.00 | 1.08 | 2.62 |
| 19:00 | 219 | მიუპა-ტვმქ | 1.30 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.69 |
| 19:00 | 220 | ხაზარი-ნისტრუ | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 19:30 | 222 | ატლანტასი-რილი | 1.40 | 3.70 | 6.00 | 1.01 | 1.13 | 2.28 |
| 19:30 | 224 | დაჩია-ვადუცი | 2.30 | 3.00 | 2.65 | 1.30 | 1.23 | 1.40 |
| 19:45 | 225 | ფლორა-ესბიერგი | 4.50 | 3.60 | 1.55 | 2.00 | 1.15 | 1.08 |
| 21:00 | 226 | ვიკინგი-პორტადავნი | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 21:30 | 230 | ბ36 ტორშავნი-ვესტმანაეიარი | 3.60 | 3.20 | 1.80 | 1.69 | 1.20 | 1.15 |
| 22:00 | 231 | ქილინა-ბაქო | 1.20 | 4.70 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.14 |
| 22:30 | 233 | კარმარტენი-ლონგფორდი | 2.50 | 3.00 | 2.35 | 1.36 | 1.21 | 1.31 |
| 22:30 | 234 | კორკი-ეკრანასი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:00 | 235 | ჰიბერნიანი-ომონია | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |

**ევროპის ჩემპიონატი(19)**

**ჩრდ ირლანდია**

**29 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 322 | საფრანგეთი-ინგლისი | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |

**ამხანაგური მატჩები**

**28 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 251 | ტოკიო-ბაიერნი | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| 23:45 | 252 | ვაშინგტონი-ჩელსი | 5.70 | 3.50 | 1.50 | 2.16 | 1.18 | 1.04 |

**ტურნირი ამსტერდამში**

**29 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 275 | ბოკა ხუნიორსი -პორტუ | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 23:15 | 276 | აიაქსი-არსენალი | 2.70 | 3.00 | 2.35 | 1.42 | 1.25 | 1.31 |

**ბელგია. სუპერთასი**

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 321 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1.40 | 3.60 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.37 |

**ჩოგბურთი ქალები**

**ბუდაპეშტი**

**28 ივლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 466 | პასტიკოვა-კაპროსი | 1.45 | 2.35 |
| 13:00 | 467 | მამიჩი-სუხა | 1.50 | 2.10 |
| 13:00 | 468 | კასტანო-ფუჯივარა | 1.30 | 2.75 |

**ჩოგბურთი კაცები უმაგი**

**28 ივლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 459 | ვოლანდრი-გარსია ლოპესი | 1.50 | 2.10 |
| 13:00 | 460 | მოია-ვლიეგენი | 1.15 | 4.20 |
| 13:00 | 461 | რობრედო-ტიპსარევიჩი | 1.30 | 2.75 |
| 13:00 | 462 | ფერერი-ვისენტე | 1.25 | 3.10 |




# ფორმულა 1 (უნგრეთი). 30 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი ---------------- 90.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა ---------------------- 100.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | უებერი -------------------- 80.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი ------------------ 300.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო ----------------- 250.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | კარტიკეიანი -------------- 250.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი ------------------ 150.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო ---------------------- 65.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰაიდფელდი ---------------- 65.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი ---------------- 40.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო ------------------ 35.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული -------------------- 20.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი -------------------- 15.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა ----------------- 12.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი ---------------- 7.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო -------------------- 3.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი ----------------- 2.60 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია ------------------- 3.50 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „[illegible] |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის [illegible] |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# ნონო რაგბის გარდა შოუსაც გვპირდება



ბადრი კათილაძის ფოტოები



**საქართველოში 13-კაცა რაგბი ახლაღა იკიდებს ფეხს, თუმც უკვე ცხადია, რომ ოვალურბურთა თამაშობების ეს სახეობა ჩვენში საკმაოდ პოპულარული გახდება.**
**მოგეხსენებათ, კვირას ეროვნულზე ჩვენებურებმა სერბები დაამარცხეს და ახლა 6 ერის თასზე მოსახვედრად გზა ხსნილი აქვთ.**
**ერთი სიტყვით, მობურთალეებმა თავიანთი საქმე გააკეთეს. ორ მეტოქეს სძლიეს და ევროპული ლიგის რაგბის ფედერაციას დაანახეს, რომ თამაში შეუძლიათ. დანარჩენი ჩვენი ფედერაციის მარიფათზეა დამოკიდებული, რადგანაც ევროპელებმა აუცილებელ პირობად დაგვითქვეს, თუ 6 ერზე თამაში გინდათ, საშინაო ჩემპიონატი გაახერხეთო.**
**ნოდარ, იგივე ნონო ანდღულაძე ფედერაციის განვითარების მენეჯერიც გახლავთ და მოქმედი მორაგბეც, ამიტომაც ინტერვიუსთვის პირველ რიგში მას მივმართეთ.**

**— ნონო, ნაკრების თამაშზე საკმაოდ დაიწერა, თუმცა შენი კომენტარიც საინტერესო იქნებოდა...**

— თამაშით კმაყოფილი ვარ, რადგანაც სასურველ შედეგს მივაღწიეთ. მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა გვქონდა და წარმატებაში წამითაც არ შეგვპარვია ეჭვი. ფაქტობრივად პირველ 20 წუთში გახდა ცხადი, რომ სერბებს გამარჯვების შანსი არ ჰქონდათ.

**— მოდი, შენ თავზე გვიამბე. რაგბის როდის ეზიარე და რამ განაპირობა შენი არჩევანი?**

— რაგბი ჩემს ოჯახში ტრადიციაა და გასაკვირი იქნებოდა, მეც რომ ამ ტრადიციის გამგრძელებელი არ ვყოფილიყავი. მამაჩემიც მორაგბე გახლდათ და ბიძაჩემიც, ჩემი სიძეც. ერთი სიტყვით, ირგვლივ სულ მორაგბეები მყავდა და მეც, რა თქმა უნდა, ბავშვობიდან სპორტის ამ სახეობის საყვარული მომდევს.

ჩემი პირველი გუნდი „ლელო“ იყო, სადაც ბათუ კევლიშვილი მავარჯიშებდა, შესანიშნავი სპეციალისტი და, რაც მთავარია, უდიდესი პიროვნება. სარაგბო ანბანა მან შემასწავლა. შემდეგ ამერიკაში წავედი სასწავლებლად, თუმცა საყვარელი საქმისთვის არ მიღალატია და ერთ-ერთ იქაურ პატარა კლუბში ვთამაშობდი. ამის შემდეგ ჰოლანდიაში ვცხოვრობდი, სადაც ამსტერდამის ერთ-ერთ გუნდში აღმოვჩნდი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ „გუმარში“ ვითამაშე, შემდეგ კი „ლოკომოტივში“ მივედი და ახლაც იქ ვარ, საქართველოს 15-კაცა ნაკრებშიც საკმაოდ მითამაშია.

**— საქართველოში 13-კაცა რაგბის შემოტანის იდეა ვის ეკუთვნის და შენ როგორ მოხვდი ამ საქმეში?**

— საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენსა და რაგბის ქომაგს პაატა ცინცაძეს მოუვიდა აზრად, ჩვენში სპორტის ეს სახეობა დაენერგა. ჩამოვიდა, დამიკავშირდა და საქმეს შევუდექით.

თავიდან ჩემს მეგობრებს კახა ალანიას, გოგა ასათიანსა და კახა კობახიძეს დავურეკე და ნელ-ნელა გავფართოვდით კიდეც. მგონი, ჩვენს ამოცანებს ჯერჯერობით კარგად ვართმევთ თავს. თამაშიც კარგად ვამოგვდის და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაც.

**— ამაში ვერავინ შეგედავებათ, სანამ გულშემატკივარს გამარჯვებას აჩუქებდით, შოუც შთამბეჭდავი მოაწყვეთ.**

— მართლაც კარგად გამოვიდა ყველაფერი. მიხარია, რომ მაყურებელს ასეთი ლამაზი საღამო ვაჩუქეთ. ეს განსაკუთრებული დღე იყო, თუმც სიურპრიზებს არც მომავალში მოვაკლებთ ჩვენს ქომაგს. ნაკრების ნებისმიერი თამაში ზეიმად უნდა ვაქციოთ. გეგმები იმდენი გვაქვს, რომ ნამდვილად არავის მოვაწყენთ. თანაც სუხიშვილებთან ძალიან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, ეს კი პატარა ამბავი არაა. სუხიშვილების დასი საქართველოს სახეა, ჩვენი სავიზიტო ბარათი მსოფლიოში. ამ ანსამბლის ჩვენი ქვეყნის წინაშე ისეთი დამსახურება აქვს, ვერც ერთი სპორტული გუნდი ახლოსაც ვერ მივა.

**— განსაკუთრებით შთამბეჭდავი თქვენი ფერხული და ხორუმის რიტმზე გასახდელიდან გამოსვლა იყო. ფოიერვერკიც ძალიან ორიგინალური და ლამაზი გამოდგა.**

— ეს ყველაფერი რეპეტიციაზე მქონდა ნანახი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამის მიუხედავად უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. წარმომიდგენია, მაყურებელს რა გრძნობა ექნებოდა. სერბებს ისეთი სახეები ჰქონდათ, ალბათ სხვა სამყაროში ეგონათ თავი. ცრემლები ძლივს შევიკავე.

სწორედ ამისთვის კეთდება ეს ყველაფერი. მინდა, რომ რასაც მე თამაშისას ვგრძნობ, რაც გულში მინთია, მაყურებელსაც გადავდო. ეს ძალიან დიდი მუხტია. ამას გარდა შოუ ხასიათის გამოკვეთებისთვისაც მშვენიერი საშუალებაა. ერთია, როცა გულშემატკივარი სტადიონზე მხოლოდ თამაშს უყურებს და მზესუმზირას კნაწუნით არის გართული და მეორე, როდესაც მას მატჩამდე ასეთი ეფექტებით მუხტავ.

**— რაში გამოიხატება ძირითადი განსხვავება 13-კაცა და 15-კაცა რაგბს შორის?**

— 13-კაცა უფრო დინამიური თამაშია და მორაგბისგან მეტ უნივერსალიზმს მოითხოვს. ფიზიკურად ძალიან კარგად უნდა იყო მომზადებული. ყოველ წუთს წინ და უკან სირბილი გიწევს. შებოჭავ მეტოქეს და უკან იხევ, მერე ისევ და ეს მანამ, სანამ შენ შეტევას არ წამოიწყებ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სისწრაფეზეა გათვლილი. კიდევ ერთი შესამჩნევი განსხვავება ისაა, რომ თითქმის არ გვხვდება ფეხით თამაში და აქცენტი ძირითადად ხელით თამაშზე და სწრაფ კომბინაციაზე კეთდება. ამას გარდა, 13-კაცა დაცვაში განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვს. ამიტომაც არის, რომ დიდ გუნდებში, ისეთებში როგორებიც ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრალია და მისთანები არიან, 15-კაცა ნაკრების მწვრთნელთა ბანაკში დაცვის გასაწვრთნელად ძირითადად 13-კაცა ნაკრების სპეციალისტებს უხმობენ ხოლმე.

რადგან ამაზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთ რამეს დავამატებდი. გვინდა, რომ, საქართველოს რაგბის კავშირთან ვითანამშრომლოთ, რადგანაც რაგბი ერთი დიდი ოჯახია და მნიშვნელობა არა აქვს, 13-კაცაა, თუ 15-კაცა. ჩვენი ნაკრების წევრს თუ გამოიძახებენ დიდ ნაკრებში სათამაშოდ, ხელს არ შევუშლით, ასე რომ, არანაირ კადრების წართმევა არ მოხდება. მიხარია, რომ რაგბის კავშირიც თანამშრომლობს ჩვენთან. 22 და 24 ივლისს საქართველოს თასის მატჩები იყო დაგეგმილი, თუმცა „13 ქართველს“ რომ ხელი არ შეშლოდა და მორაგბეებს კლუბებში პრობლემა არ შექმნოდათ, ეს მატჩები გადაიტანეს.

**— 6 ერის თასზე თქვენი მონაწილეობა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. რა პირობა დარჩა შესასრულებლად იმისთვის, რომ ევროპულმა ფედერაციამ ოფიციალური დასტური განაცხადოს ჩვენს მიღებაზე?**

— მთავარი პირობა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებაა და ეს წლეულს, ოქტომბრამდე უნდა მოვასწროს. ჯერჯერობით საქართველოში ერთადერთი 13-კაცა კლუბი „რაინდები“ არის რეგისტრირებული. მოლაპარაკებები მიმდინარეობს სხვადასხვა დონეზე, რომ მინიმუმ კიდევ ერთი კლუბი შეიქმნას და ოღონდაც ერთი თამაშის შემდეგ გახდეს საქართველოს ჩემპიონის ვინაობა ცნობილი. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ სადებიუტო პირველობაში ოთხმა გუნდმა მიიღოს მონაწილეობა.

**— ნაკრების წინსვლისთვის ახალგაზრდა კადრებია საჭირო, ბავშვთა სკოლების ჩამოყალიბებას ხომ არ გეგმავთ?**

— ეს მომავლის საქმეა. ჯერჯერობით კი ჩემპიონატის ჩატარება უპირველეს ამოცანად დავისახეთ. რეზერვი არის. ძალიან კარგი ახალგაზრდობა მოდის და კლუბებშიც მრავლად თამაშობენ ისეთი მორაგბეები, რომლებიც საკმაოდ ძლიერები არიან, მაგრამ 15-კაცა ნაკრებში ვერ ხვდებიან.

**— ერთა თასზე ჩვენი მეტოქეები საფრანგეთი და რუსეთი იქნებიან. ნაკრების მწვრთნელმა ირაკლი კეკელიძემ გვაუწყა, პროგრამა-მინიმუმი წლეულს ერთი თამაშის მოგება იქნებაო. საფრანგეთი რა დონის გუნდიცაა, რაგბიში ჩახედული კაცი იოლად მიხვდება. ამიტომაც აქცენტს ალბათ რუსებზე გავაკეთებთ. რამე თუ იცით რუსების შესახებ?**

— საფრანგეთს გასვლაზე ვეთამაშებით, რუსებს კი შინ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფრანგებთან რაიმეს დათმობას ვაპირებთ. ჩვენ ყველა თამაშში მოსაგებად ვიბრძოლებთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენს მეზობლებთან განსაკუთრებით პრინციპული მატჩი გველის.

რუსებს ლიგის რაგბი გაცილებით უკეთ აქვთ განვითარებული, ვიდრე კავშირული. მდიდარი ტრადიციები აქვთ და 6 ერზე თამაშობენ. საკმაოდ მოწესრიგებულ ჩემპიონატს ატარებენ და მოსკოვში საერთაშორისო ტურნირებსაც მასპინძლობენ, ასე რომ, საკმაოდ სერიოზულ გუნდთან მოგვიწევს ჭიდილი.

**— მათი თამაშების ჩანაწერები ხომ არ გაქვთ?**

— ჯერჯერობით არა, მაგრამ უკვე დროა ამაზე ფიქრი დავიწყოთ. იმედია, მალე საკმაო მასალას მოვიპოვებთ და რუსეთის ნაკრებს შევისწავლით. ვპირდებით, რომ მომავალი წარმატებებისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ.

**ლადო ფულუკიძე**

# ლიგური ვებ-გვერდი ქართველთა 13-კაცაზე

„13 ქართველის“ სერბებზე გამარჯვებამ ევროპული ლიგის რაგბის მესვეურთა ყურადღებაც მიიქცია. მათ ვებ-გვერზე, რომელიც ინტერესით ადევნებს თვალს ჩვენებურთა ლიგურ პროგრესს, გამოჩნდა ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე აბზაცი რამდენიმე საინტერესო ადგილის თარგმნა არ დავიზარეთ.

...„მატჩში, რომელიც გადაეცემოდა საზოგადოებრივი ტელევიზიის არხით, საქართველომ 44:12 დაამარცხა სერბეთის ნაკრები. თამაში არაოფიციალური საკვალიფიკაციო მატჩის სტატუსს ატარებდა.“

...„საქართველოს ნაკრებმა პირველად ითამაშა საკუთარ მოედანზე და ტრიბუნებზე შეკრებილმა ფანობამ დაუვიწყარი წინასამატჩო შოუ იხილა. ადგილობრივი მომღერალ-მოცეკვავეების მიერ შესრულებულ კომპოზიციებს სახურავიდან ჩანჩქერად გადმოფენილი ფოიერვერკი მოჰყვა, ხალხმა კი აღტაცებით მაშინ იხუვლა, როდესაც გილაურმა პირველი ლელო გაიტანა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ევროპის ლიგის რაგბის ფედერაციის განვითარების ოფიცერი კევინ რადი და ექვსი ერის თასის დირექტორი გრემ ტომსონი, რომელმაც მატჩის შემდეგ კომენტარიც გააკეთა:

თამაშის ხარისხი ბრწყინვალე გამოდგა, მას შესანიშნავ სპექტაკლს შევადარებდი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოს ლიგური რაგბის განვითარებაში დავეხმაროთ, პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში მართლაც არის ამის მოთხოვნილება.“

სტატიის დანარჩენი ნაწილი მატჩის მოკლე მიმოხილვას ეძღვნება და ამით თავს აღარ შეგაწყენთ. მთავარი ის არის, რომ ევროპელები აშკარად ხელგაშლილები გველიან თავიანთ ოჯახში მასპინძლებად. მათი ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება კი უკვე ჩვენს მარიფათზეა დამოკიდებული.

**ლადო ფულუკიძე**



ანდრე აგასი

# აგასი აღარ ნერვიანობს

**MERCEDES-BENZ CUP**
**ლოს ანჯელესი. მაგარსაფარი.**
**საპრიზო 355 ათასი $**

**პირველი წრე**

**ანდრე აგასი** (1, აშშ) — ჟან-რენე ლინარი (საფრანგეთი) 6:1 6:0; **დომინიკ ჰრბატი** (2, სლოვაკეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:4 6:1; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — ნიკოლას კიფერი (3, გერმანია) *3:2 კიფერმა შეწყვიტა;* **ტომი ჰაასი** (4, გერმანია) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:4 6:4

**ლოსანჯელესობის** სამგზის ჩემპიონ ანდრე აგასის საფრანგეთის ღია პირველობის პირველ წრეში დამარცხების შემდეგ ჩოგანი აღარ გაენძრია.

ამის მიზეზი, ვინძლო, გახსოვდეთ — 35 წლის დიად არმენოამერიკელს ზურგის მავანი ნერვი უჩმახებს და რამდენიმე თვეში ერთხელ კორტიზონის ინექცია თუ არ გაიკეთა, კორტზე გადაადგილებას ვერ ახერხებს.

ამ მომენტისთვის კი ბებერი ფაკირი კაცურ ფორმაშია და სწორედ ამის გამო იყო, უსახელო ჟანრენე ლინარს სულ რაღაც 47 წუთში რომ გადაურბინა.

ჩემი თამაშის ყველა ასპექტით კმაყოფილი ვარო, იძახდა ის მერე და არცთუ ნერვს ვუჩივიო, დასძენდა.

სხვაფრივ — შარშან ნაშოვნი ტიტულის დაცვა ოყლაყი ივო კარლოვიჩის ძლევით დაიწყო გერმანელმა ტომი ჰაასმა, ვინაც ჰალეობაზე რომ მარჯვენა კოჭის მყესი გაიწყვიტა, კორტზე მას შემდეგ აღარ გამოჩენილიყო.

სუნთქვა გაუჭირდა და ჯეიმს ბლეიკთან ოდენ ხუთი გეიმის წაკეჭნავების მერე ჩოგნის დაშალითება არჩია ჰაასის მიერ შარშანდელ ფინალში დამარცხებულმა ნიკოლას კიფერმა.

ხოლო მეხუთე ნომრად განთესილ ტაილორ დენტსა და მის თვისტომ მარდი ფიშს შეხვედრა საერთოდაც არ დაუწყიათ. პირველი ჯერაც აზრზე ვერ მოსულიყო გასულ კვირას, ინდიანაპოლისურ ფინალში რობი ჯინეპრის წინააღმდეგ ხვატში დაქლიავების შემდეგ, მეორეს კი უბრალოდ მარჯვენა მაჯის ტრავმა ჰქონია.

**ĞENERALI OPEN**
**კიცბიუელი. თიხნარი.**
**საპრიზო 625 ათასი €**

**პირველი წრე**

**ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:2 6:4; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3 6:3; **ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) — რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი) 6:3 6:3

**საეიტიპიო** ტურნირებს დაუბრუნდა ქართველთა მთავარმეჩოგნე ირაკლი ლაბაძე, ვინაც ბოლო დროს ჩელენჯერებზე გამოდიოდა, ხოლო ამის წინა პარასკევ-უქმეებზე საქართველოს დევისნაკრების მიერ განასთან გასვლით გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

ამჟამად ლაბაძე კიცბიუელის თიხნარზე ჩოგნაობს და პირველ წრეში 27 წლის უსახელო ესპანელ რუბენ რამირეს იდალგოს აჯობა. ეს მათი პირველი შეხვედრა გახლდათ და ჩვენიანს მეტოქის ძლევა არ გასჭირვებია.

იოლად იმარჯვა 22 წლის გერმანელმა ფილიპ კოლშრაიბერმა, ოღონდაც მის გამარჯვებას გაცილებით დიდი რეზონანსი ჰქონდა. მიზეზი მარტივია — მან ტურნირის სამგზის (1995, 1998 და 1999 წლების) ჩემპიონი ალბერტ კოსტა გააბუნძულა.

**ხორვატიის ღია პირველობა**
**უმაგი. თიხნარი.**
**საპრიზო 319 ათასი €**

**პირველი წრე**

**ტომი რობრედო** (3, ესპანეთი) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 6:4 6:4; **დავიდ ფერერი** (4, ესპანეთი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:3 3:6 6:2; **კარლოს მოია** (6, ესპანეთი) — ბოღდან ულირახი (ჩეხეთი) 6:2 *ულირახმა შეწყვიტა;* **ხუან კარლოს ფერერო** (7, ესპანეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:0 3:1 *ნიემინენმა შეწყვიტა;* **ფელისიანო ლოპესი** — ...

**ფელიძს მანტია** (ესპანეთი) — ალან მაკინი (ბრიტანეთი) 6:2 6:1



ეროვნული

## NBA

# ბრაუნი ბაბილონში

## ნიუ იორკში რა გინდოდა

**„ნიუ იორკ** ნიკერბოკერსი", ნბა-ს უმდიდრესი გუნდი — აი, ერთ-ერთი ყველაზე სახელიან-ტიტულიანი მწვრთნელის ლარი ბრაუნის შემდეგი გაჩერება. ექს-ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი „დეტროიტიდან" გამოქცეული ბრაუნი ფაქტობრივად შეუთანხმდა „ნიქსის" პრეზიდენტ აიზია ტომასს 5-წლიან თანამშრომლობაზე, რაც ნიუიორკელებს 50 ან 60 მილიონი დაუჯდებათ. კონტრაქტს ალბათ ამ რამდენიმე დღის შემდეგ დაუსვამენ ხელმოწერებს.



ესე იგი, ხუთი წლით... „დეტროიტიდან" რომ მოდიოდა, ბრაუნი ამის მიზეზად შერყეულ ჯანმრთელობას ასახელებდა და ისიც წამოსცდა, თუ აქედან წავედი, პენსიაზეც გავალო, მაგრამ აგერ, რა ხნით გადაბარგდა „ნიუ იორკში". სავარაუდოდ, ის 5 წელიწადს ვერ გაძლებს ამ გუნდში და მიზეზიც იგივე უნდა იყოს, რაც „დეტროიტიდან" წამოსვლისას მოიტანა. რა გასაკვირია, 64 წლის, თანაც ასეთ ნერვებისდამწყვეტ საქმეში დაბერებული კაცი ჯანმრთელობას უჩიოდეს, მაგრამ ბრაუნი ყოველთვის და ყველა გუნდიდან კონტრაქტის ამოწურვამდე გარბოდა. ჩანს, ის იმ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება, ერთ ადგილზე დიდხანს რომ ვერ ძლებენ და გარემოს გამოცვლა მალიმალ სჭირდებათ ხოლმე.

„დეტროიტში" სანამ მივიდოდა, ბრაუნმა „ფილადელფია" მიატოვა და ისიც იმიტომ, რომ აქედანაც ორ წელიწადში აბარგებულიყო, მაგრამ, რაც მართალია, მართალია, ბრაუნმა მწვერვალზე აიყვანა „დეტროიტი" — 2004 წელს აჩემპიონა და წლეულსაც სულ ერთი თამაშის მოგება დააკლდა ტიტულის დასაცავად.

კეთილი, მაგრამ რა ესაქმებოდა ამ დაჭაობებულ გუნდშიო — ბევრმა ესეც იკითხა. „ნიუ იორკი" ხომ წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობს ძლიერებში კი არა, საშუალოებში ფეხის მოკიდებას და პლეი ოფში მოხვედრა ლამის გმირობად ეთვლება. რაც „ნიქსიდან" ნბა-ს ამ ძირძველი და ერთ-ერთი დამფუძნებელი გუნდის თილისმა პატრიკ იუინგი წავიდა, უფრო ზუსტად კი გაცვალეს, „მედისონ სკვერ გარდენისა" და „ბაბილონის გოდოლის" შვილებმა ეგრეც ვერააწყვეს საქმე.

ასე რომ, ისედაც ჯანმრთელობაშერყეულ ბრაუნს დიდძალი სამუშაოების ჩატარება მოუხდება და იქნებ აიზია ტომასს ნახევარი გუნდის გაწმენდაც სთხოვოს. ბრაუნს მკაცრი მოძღვარის სახელით იცნობენ. თავის დროზე მან თვით ალენ აივერსონის მორჯულება და დაარტახება შეძლო, ახლა კი იგი ალვირს „ნიქსის" ჩიფურა ლიდერ სტივ მარბერისთვის მოამზადებს. ბრაუნს მარბერისთან 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე უმუშავია და იქ შელაპარაკებაც მოსვლია მასთან.

ისიც სათქმელია, რომ ბრაუნი დაბადება-აღზრდით სწორედ ნიუიორკელი გახლავთ და მთელი ოჯახით სიამოვნებით ბრუნდება შინ.

**კოტე ყორშია**



# სლავკოვი სავარძლებს კარგავს და კარგავს

**ბულგარეთის** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნები 28 სექტემბერს გაიმართება. იქ პრეზიდენტად ივან სლავკოვის ნაცვლად ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. მანამდე ბულგარეთის ეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ირინა კრასტევას, რომელიც სახელმწიფო სპორტული ლატარეის ჩატარებას ხელმძღვანელობდა.

65 წლის სლავკოვი კორუფციასთან დაკავშირებული ბრალდების გამო ამას წინათ სინგაპურში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრობიდან გარიცხეს. თუმცა, იგი რჩება ბულგარეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტად.

სხვათა შორის, ივან სლავკოვი ბულგარეთის ყოფილი კომპარტიის ლიდერის ტოდორ ჟივკოვის სიძეა



# იაგრი რუსის ქალებს ვერ ელევა

**მას** მერე, რაც ნჰლ-ში ლოკაუტის დასრულება გამოცხადდა, ჰოკეის ბევრმა ვარსკვლავმა, რომელსაც რუსეთში სეზონის გატარება სურდა, ოკეანესგაღმა გასამგზავრებლად ჩემოდნების ჩალაგება დაიწყო. ამ ვითარებაში ნამდვილ დემარშად გამოიყურება „ავანგარდის" ჩეხი ფორვარდის იარმორ იაგრის საქმე, რომელიც სულაც არ ჩქარობს ომსკის დატოვებას.

საქმე ისაა, რომ ციმბირის ამ ქალაქში ჩეხი ჰოკეისტის პირადი ცხოვრება რაღაც კალაპოტში მოექცა. მას გარს ახვევია უამრავი ახალგაზრდა ქალი, რომელთაგან მოსვენება აღარ აქვს. ისინი თავიანთი ცხოვრების მილიონერთან დაკავშირებას ცდილობენ და ამისთვის ნემსის ყუნწში ძვრებიან.



ამას წინათ იაგრი ადგილობრივ რესტორან „გრანტის" ერთ სტრიპტიზიორს გადაეყარა. ამ რომანის გამო იაგრმა თავისი ცხოვრების პრინციპსაც უღალატა და ალკოჰოლს დაუმეგობრდა. ყოველ შემთხვევაში, სტრიპტიზიორის დაბადების დღეს იაგრმა, როგორც ამბობენ, აიწყვიტა და შამპანურით სავსე ბოკლები ერთიმეორის მიყოლებით გამოცალა, მერე კი დიდხანს ცდილობდა ქალის დაყოლიებას... სიგარეტის წევას შეეშვი.

მერე იარომირ იაგრის ახალი გატაცება ერთ-ერთი ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. მათ ერთმანეთი გაიცნეს ჰოკეისტის საყვარელ ბარ „უ შვეიკაში", რომელსაც იაგრი ხოლმე თავისუფალ დროს სტუმრობს.

აი, კაზინოში, რომელსაც იაგრი ბოლო დროს მიეძალა, ჰოკეისტს ქალები თან არ დაჰყავს. ამას წინათ იაგრმა კაზინოს 800 ათასი მანეთი მოუგო. თუმცა, რამდენიმე დღის მერე იაგრს ამ მოგებიდან ერთი კაპიკიც აღარ დარჩა.

**მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი. 17-31 ივლისი**

# ყველაზე ბევრი, ყველაზე მაღლა

## ამერიკამ მსოფლიო ოქრო მიითვისა



კეტი ზეიგლერი



მაიკლ ფელპსი



აარონ პეირსოლი

**26 ივლისი** ჭეშმარიტად ამერიკული დღე გამოდგა. მონრეალში იქვე შტატებიდან გადასხმულმა დესანტმა ყველა ოლად მოიყვანა ჭკუაზე. ხუთი გაცურვიდან ამერიკულმა ტორპედოებმა სამი ოქრო, ორი ვერცხლი და ორიც ბრინჯაო ამოიღეს და ერთხელ და საბოლოოდ ჩამოიტოვეს მედლების ლაფის წვერში დროებით შემოსკუპებული ჩინელები. ლამის მილიარდნახევრიანმა ერმა მსოფლიოს ჩემპიონატში 5 ოქრო მოიპოვა და ხუთავე წყალში ხტომაში, ეს იყო და ეს. როგორც ჩანს, მონრეალში ჩინელების მოსაგები ბევრიც არაფერი დარჩა — წყალბურთში ისინი ალბათ ერთ ბრინჯაოსაც ვერ იშოვნიან, ცურვაში, კი შესაძლოა სულ რამდენიმე ჯილდოს გამოჰკრან ხელი.

ეტყობა, ამერიკელებს ვერც ავსტრალიელები დაეწევიან, რომლებიც ცურვაში მათსავით ოლიმპიელ განთქმულნი, თუმც მონრეალში ოხები იანკებს უკვე ოთხი ოქროთი და ჯამში 7 მედლით ჩამორჩებიან.

კანადური აუზებიდან თავისი მეორე ოქრო ამოიღო მსოფლიო აუზების განთქმულმა ვარსკვლავმა მაიკლ ფელპსმა, რომელმაც ათენის ოლიმპიადაზევე ჩამოართვა ეს წოდება ავსტრალიელ ტორპედოს, იან ტორპს. ასაკში შესულ ტორპედოს მონრეალში ვერ ვხედავთ, ფელპსი კი სწორედ იმ დისციპლინაში იგებს ოქროს, რაშიც ტორპს ბადალი არ ჰყავდა. ფელპსმა თავისუფალი სტილით გასაცურ 200 მეტრზე იჩემპიონა, ამ დისტანცია-დისციპლინის ჩემპიონთჩემპიონი და რეკორდსმენი კი ტორპი გახლავთ.

ეს გაცურვა ერთობ საინტერესო გამოდგა: თავდაპირველად დაწინაურდა სამხრეთაფრიკელი რიკ ნიტლინგი, თუმც ფელპსმა მალე ჩამოიტოვა და ბოლომდე არავინ გაიკარა. ამ ნიტლინგმა კი — როს ფელპსმა გაასწრო — ისე აურია, უფრო გრძელ დისტანციებზე ჩაუქობით ცნობილმა ავსტრალიელმა გრანტ ჰეკეტმაც მოიტოვა და კანადელმა ბრენტ ჰეიდენმაც. ჰაკეტი ფელპსს ველარ მისწვდა და მეორემ მიცურა ნაპირთან, ნიტლინგმა კი ის მაინც მოახერხა, ჰეიდენი ჩამოიტოვა და კვარცხლბეკზე ბოლო, მესამე კაცად შედგა.

ფელპსი აშკარად ნასიამოვნები ჩანდა, მას ხომ სულ მცირე 7 ოქროს მოგება განუზრახავს მონრეალში.

„ეს ჩემი საუკეთესო დროა და დიდი მადლობა ჩემს გუნდს, რომელიც ასე მეხმარება ზრდა-განვითარებაში, — ამბობს ფელპსი. — იმედი მაქვს, სამი წლის შემდეგ პეკინში ბევრად უკეთეს დროს ვაჩვენებ."

ვერცხლის მედალოსანი ჰაკეტი კი დიდად არ ნაღვლობდა ჩემპიონობის დაკარგვას, მით უფრო, რომ ერთი ოქრო უკვე აქვს, უმაღლესი სინჯის ჯილდოების ხვეტაში კი ოქრობიჭუნა ფელპსს ნაღდად ვერ გაეჯიბრება:

„ეს კვირა გვარიანად გადატვირთულია. დღეს დილითაც 800 მეტრზე შესარჩევში ვიცურავე და რა გასაკვირია, ცოტა მოღლილი რომ ვარ. მაიკლიც დიდებული იყო, მე კი იმითაც კმაყოფილი ვიქნები, ჩემთვის არატრადიციულ სახეობებში პირად დროს თუ გავაუმჯობესებ."

ამერიკელი მოცურავების არმია ფელპსამდე კიდევ ორმა ჩემპიონმა გაახარა. ადრე დილით 1500 „თავისუფალი" მეტრი მოიგო სულ რალაც 17 წლის და თავის პირველ საერთაშორისო ტურნირზე მოცურავე გოგოცუნა კეტი ზეიგლერმა. საწყალ ბავშვს გვარიანად უნერვიულია, ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე და ფინალის წინა დღეს, საკვალიფიკაციო გაცურვაში ძლივს უჩვენებია ისეთი შედეგი, 8-კაციან, უკაცრავად 8-ქალიან ფინალში გზას რომ გაუხსნიდა. შედეგად, კეტი მერვე, ანუ არცთუ ხელსაყრელ „ბილიკზე" დადგა და... ისე იცურავა, კილომეტრნახევრიანი დისტანციის ნახევრის მოლევის შემდეგ მის პირველობაში ეჭვიც აღარავის ეპარებოდა. 800 მეტრის შემდეგ ის უკვე ხუთ წამს უგებდა უახლოეს მდევრებს — კანადელ ბრიტანი რეიმერსა და შვეიცარიელ ფლავია რიგამონტის. თავის მხრივ ესენიც 5-ზე მეტ წამს უგებდნენ დანარჩენებს. საბოლოოდ ზეიგლერმა იოლად იჩემპიონა, რიგამონტიმ კი გვარიანად ჩამოიტოვა რეიმერი და კისრიდან ვერცხლი ააცალა, თუმც ამ უკანასკნელს დიდად არ განუცდია ვერცხლის დაკარგვა.

ერთი სიტყვით, ეს გაცურვა ისეთი გამოდგა, ყველამ რომ ისიამოვნა, ცხადია, სულ ბოლო ადგილზე გასულს არ ვგულისხმობთ.

პატარა კეტის ასეთმა ხელმარჯვეობამ ისე დამუხტა მასზე დიდი თანამემამულეები, რომ საკვირველი ისაა, დანარჩენი ქვეყნის გოგო-ბიჭები საერთოდ როგორ შეწვდნენ მედლებს. ზეიგლერის შემდეგ იმარჯვეს ფელპსმა (ეს უკვე გითხარით) და გულაღმა ცურვის ოსტატმა აარონ პეირსოლმა.

ვისაც რაში გინდათ, იმ დისციპლინაში ხვეტეთ ოქროები, გულაღმა ცურვაში კი მეფეც და ჰერცოგიც მე გახლავართო — ამბობს პეირსოლი და ბოლო ოთხი წელია, ყველა ტურნირს იგებს, რომელიც მისი ხელისმოქნევის არეში მოხვდება — მოუგია 2001 წლის ფუკუოკას მსოფლიოს პირველობა, იგივე გაუკეთებია 2003 წელს ბარსელონაშიც, 2004-ში ათენშიც არავინ გააკარა მთავარ ჯილდოს და რაღა თავი შეგაწყინოთ, ყოველთვის მზად გახლავთ შრომისა და თავდადებისთვის.

პეირსოლი კარგი ბიჭის შთაბეჭდილებასაც ტოვებს, მთავარ კონკურენტს, თანამემამულე რენდალ ბოლს გარჯა მოუწონა და ვერცხლი მიულოცა. რაც შეეხება მსოფლიოს რეკორდის განახლებას — აი, იმ რეკორდის, წლეულს აპრილში ინდიანაპოლისში რომ დაუმყარებია — ესეც შეიძლებოდა, რაკი გულაღმა ცურვისას მზე არ უჭყიტინებდა თვალებში და გზას არ უბნევდა. მიუხედავად ამისა რეკორდი მაინც ვერ გააუმჯობესა და თავი დაიმშვიდა, სხვა დროს იყოსო.

მისი ნებაა, როცა უნდა, მაშინ დაამყაროს რეკორდი.

ოქრომდე ცოტა ბევრი დააკლდათ 100 მეტრზე ბრასით მოცურავე ამერიკელ გოგონებს — ჯესიკა ჰარდისა და ტარა კირკს. ამ ორივეს ლეიზელ ჯონსმა აჯობა, რომელმაც 26 ივლისს ერთადერთი ოქრო მოუტანა ცურვაში ჭიპმოჭრილ ავსტრალიელებს.

ამერიკელები ყველაზე სუსტად ქალთა 100 მეტრ გულაღმა გაცურვაში გამოვიდნენ. აქ მხოლოდ ბრინჯაო ერგო ნატალი გოლინს და, მართალი ითქვას, ამაზე ბევრად მეტს არც იმსახურებდა. იგი ჩემპიონ კრისტი ქოვენთრის (ეს სწორედ ის ზიმბაბველი ქოვენთრია, თავის სამშობლოს ათენში თითო-თითო ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო რომ მოუტანა) ნახევარ წამზე მეტით ჩამორჩა და მერე ჩივილი დაიწყო, ჩვენი დისციპლინა ისეთი უცნაური რამ არის, ზურგზე დაწოლილი ვერც კი ხედავ, საით მიცურავ და შეიძლება, გზაც დაგებნას. მეც სწორედ ეს მომივიდაო.

აი, სეირი! გოგონას აუზში გზა დაებნა!

**კოტე ყორშია**



### ცურვა

26 ივლისი

**ქალები 1 500 მ თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1 კეტი ზეიგლერი (აშშ) | 16.00,41 |
| 2 ფლავია რეგამონტი (შვეიც.) | 16.04,34 |
| 3 ბრიტანი რეიმერი (კანადა) | 16.07,73 |

**100 მ გულაღმა**

| | |
|---|---|
| 1 კრისტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) | 1.00,24 |
| 2 ანტე ბუშშულტე (გერმანია) | 1.00,84 |
| 3 ნატალი გოლინი (აშშ) | 1.00,88 |

**100 მ ბრასი**

| | |
|---|---|
| 1 ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია) | 1.06,25 |
| 2 ჯესიკა ჰარდი (აშშ) | 1.06,62 |
| 3 ტარა კირკი (აშშ) | 1.07,43 |

**კაცები 200 მ თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1 მაიკლ ფელპსი (აშშ) | 1.45,20 |
| 2 გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) | 1.46,16 |
| 3 რიკ ნიტლინგი (ს. აფრიკა) | 1.46,63 |

**100 მ გულაღმა**

| | |
|---|---|
| 1 აარონ პეირსოლი (აშშ) | 53,62 |
| 2 რენდალ ბოლი (აშშ) | 54,02 |
| 3 ლასლო ჩეხი (უნგრეთი) | 54,47 |

**მედლების დაფა**

| | ოქრ | ვერ | ბრინ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 8 | 6 | 4 | 18 |
| ჩინეთი | 5 | 4 | 3 | 12 |
| რუსეთი | 5 | 2 | 1 | 8 |
| ავსტრალია | 4 | 5 | 2 | 11 |
| კანადა | 3 | 1 | 2 | 6 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 1 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 3 |
| გერმანია | 1 | 6 | 2 | 9 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 3 | 5 |
| ზიმბაბვე | 1 | 1 | 0 | 2 |
| ს. აფრიკა | 1 | 0 | 1 | 2 |
| იაპონია | 0 | 3 | 1 | 4 |
| იტალია | 0 | 2 | 5 | 3 |
| კუბა | 0 | 1 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 0 | 1 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| ბრიტანეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| უკრაინა | 0 | 0 | 2 | 2 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ტუნისი | 0 | 0 | 1 | 1 |

# სემუელ პიტერი: კლიჩკო, შენ მოსიარულე გვამი ხარ





**ვლადიმერ** კლიჩკო — WBO-ს ვერსიით მსოფლიოს ექსჩემპიონი სუპერმძიმე წონაში — მზადაა მიიღოს ნიგერიელი სემუელ პიტერის გამოწვევა და შეხვდეს მას IBF-ის ვერსიით შესარჩევ ბრძოლაში.

„მე მზად ვარ, მივიღო მისი გამოწვევა. ახლა საკითხავი ისაა, თავად სემუელ პიტერი თუ არის ამისთვის მზად? მას შეუძლია ლაპარაკი, მაგრამ დროა, თავისი სიტყვები საქმით დაამტკიცოს... ახლა ყველაფერი პიტერზეა დამოკიდებული. ის ამბობს, ჭეშმარიტების ჟამი დადგაო, მე კი არ მჯერა, რომ სემუელ პიტერს ამ ჭეშმარიტების მიღება შეუძლია. თუ ვცდები, ჩვენ შეგვიძლია ეს ბრძოლა გავმართოთ."

კლიჩკოს მენეჯერ ბერნდ ბენეტის თქმით, ამ სამიოდე დღის წინ პიტერის პრომოუტერს ბრძოლის გამართვა 14 სექტემბერს შესთავაზეს. ამასთან, მომავალ მეტოქეს მის კარიერაში ყველაზე დიდი ჰონორარიც აღუთქვეს.

„პიტერის წარმომადგენელს ისიც ვუთხარით, რომ ბრძოლა შესაძლებელია ამერიკაში ან გერმანიაში, სადაც სამუელი უფრო მეტს გამოიმუშავებს" — თქვა ბენეტმა.

კლიჩკოსა და პიტერს შორის გამარჯვებული IBF-ის რეიტინგში პირველ ადგილს დაიკავებს და უფლებას მიიღებს, ამავე ვერსიით მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონს შეხვდეს.

პიტერის რეაქცია, რომელიც ჯერჯერობით დაუმარცხებელია, ადეკვატური აღმოჩნდა.

„კლიჩკომ მე გამომიწვია და მზად ვარ ჩემი სიტყვები საქმით დავამტკიცო, — ამბობს ნიგერიელი — დღეიდან შენ, კლიჩკოვ, მოსიარულე გვამი ხარ."

მომავალ ორთაბრძოლაზე ასეთივე აზრისაა ნიგერიელის მენეჯერი. იგი ამბობს, ბრძოლა მაყურებელს სუპერმძიმეწონოსანთა შორის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ ნოკაუტს პირდებაო.

„ბოლოსდაბოლოს, ჭეშმარიტების ჟამი დადგა, — დასძენს გონცევი — ჩვენ ბრძოლის პირობები მივიღეთ და ახლა რაიმე თავის მართლებაზე საუბარი დაგვიანებულია... სასიხარულოა, რომ კლიჩკო, როგორც იქნა, კაცურად მოიქცა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მან ის ბრძოლა შეარჩია, რომელიც არ უნდა შეერჩია. იმედია, მას საქმის ბოლომდე მისაყვანად ვაჟკაცობა ეყოფა."

ამავე დროს, გოცევს არ უნდა მთლიანად გამორიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ პიტერი, რომელიც WBC-ს ვერსიით ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია, ამჯობინებს სინან სამილ სამოსთან შეხვედრას, რათა ამგვარად უფრო კლიჩკოსთან საბრძოლველად გავიდეს. თუმცა, ნიგერიელს ვიტალი კლიჩკოსთან ორთაბრძოლა უფრო უეჭველი უჩანს, რადგან ამის თაობაზე გადაწყვეტილება პრაქტიკულად უკვე მიღწეულია, რაშიც იგი აშკარად დიდ ჰონორარს მიიღებს (დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად 900 ათას დოლარზეა ლაპარაკი).

იმედია, კლიჩკოსა და პიტერის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება.

ამ მოკრივეთა შეხვედრა, ეტყობა, უკვე 23 სექტემბერს გაიმართება. ბრძოლის შეხვედრის ადგილად განიხილება ატლანტიკ სიტი, დალასი, ნიუ იოკრი და ლას ვეგასი.

შევახსენებთ, რომ კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (IBF) უკრაინელი ვლადიმერ კლიჩკო პიტერთან საბრძოლველად [illegible]ლა, მათ შორის გამარჯვებული კი შეხვდება ამავე ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ კრის ბერდს.

იმასაც შევახსენებთ, რომ IBF-ის ვერსიით კლიჩკო მეოთხე ადგილზეა, პიტერი კი მას ერთი საფეხურით ჩამორჩება. ამ რეიტინგში პირველი ორი ადგილი ვაკანტურია. ხოლო მესამე საფეხურზე ვხედავთ უილიამსონს, რომლის წინააღმდეგაც ბერდი თავის ტიტულს მომდევნო ბრძოლაში დაიცავს.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ პიტერმა პროფესიულ რინგზე 24 ბრძოლა გამართა და ოცდაოთხივე მოიგო, მათგან 21 — ნოკაუტით — კლიჩკომ კი პროფესიულ სარბიელზე გამართული 47 ბრძოლიდან 44 გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის 40 ნოკაუტით.



## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 1:6 რაპიდი (ავსტრია)**

0:1 ლავარე (2), 0:2 აკაგიუნდუზი (3), 0:3 ჰოფმანი (6), 1:3 მარტინე (9), 1:4, 1:5 აკაგიუნდუზი (16, 64), 1:6 კინასტი (85)

**პარტიზანი (სერბეთი) 1:0 შერიფი (მოლდოვა)**

1:0 ოდიტა (63)

შერიფი (სასტარტო): ხუცანი, ტასემბედო, გუმენიუკი, თარხნიშვილი, ფლორესკუ, კუჩუკი, დერმე, იონესკუ, ეპურეანუ, კოჩიში, ლაკუსტა

მსაჯი: კშიშტოფ სლუპიკი (პოლონეთი)

50 000 მაყურებელი

**მალმიო (შვედეთი) 3:2 მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)**

0:1 ა. ხარაზი (2), 1:1 ოსმანოვსკი (34), 1:2 კოლაუტი (45), 2:2 დ. ანდერსონი (49პ), 3:2 მატისონი (68)

**პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 5:0 სელტიკი (შოტლანდია)**

1:0 ჰალენარი (43), 2:0 ვაშჩაკი (57), 3:0 ჰალენარი (77), 4:0 მიკულიჩი (79), 5:0 ჰალენარი (90)

**რაბოტნიჩკი (მაკედონია) 1:1 ლოკომოტივი (რუსეთი)**

1:0 ნუჰიჯი (11), 1:1 სიჩოვი (90)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, სენიკოვი, ასათიანი, ევსეევი, გურენკო, ხოხლოვი (სამედოვი 61), ჟ. ლიმა, მამინოვი, ბილიალეტდინოვი, სიჩოვი, კარიენდა (ლებედენკო 76)

მსაჯი: დუგლას მაკდონალდი (შოტლანდია)

15 000 მაყურებელი

**შელბურნი (ირლანდია) 0:0 სტიაუა (რუმინეთი)**

**ტირანა (ალბანეთი) 0:2 ცსკა (ბულგარეთი)**

0:1 გაი (88), 0:2 გლიგოროვი (90)

**დებრეცენი (უნგრეთი) 3:0 ჰაიდუკი (ხორვატია)**

1:0, 2:0 ბოგდანოვიჩი (26, 38), 3:0 კერეკეში (57)

## ინტერტოტოს თასი 2005

### IV ეტაპი. I მატჩები

**ჟალგირისი (ლიტვა) 1:2 კლუჟი (რუმინეთი)**

**ვოლფსბურგი (გერმანია) 0:0 ლანსი (საფრანგეთი)**

**სიგმა (ჩეხეთი) 0:1 ჰამბურგი (გერმანია)**

**დეპორტივო (ესპანეთი) 2:1 ნიუკასლი (ინგლისი)**

**ლაციო (იტალია) 1:1 მარსელი (საფრანგეთი)**

**ვალენსია (ესპანეთი) 4:0 როდა (ჰოლანდია)**

### ამხანაგური მატჩები

**მიუნხენი (გერმანია) 1:1 ვესტ ჰემი (ინგლისი)**

**ნორთჰემპტონი (ინგლისი) 1:0 ბირმინგემი (ინგლისი)**

**სამპდორია (იტალია) 1:0 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)**

**ჰალი (ინგლისი) 1:0 სანდერლენდი (ინგლისი)**

**ჯუბილო ივატა (იაპონია) 1:3 რეალი (ესპანეთი)**

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი
**კტპ 0:2 ინტერი**

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი
XII ტური
**ვალიური 3:1 ფილკირი**

### პოლონეთი

I ლიგა. I ტური
**გროცლინი 2:2 ამიკა**

### საფრანგეთი

სუპერთასი. ფინალი
**ოსერი 1:4 ლიონი**

### გერმანია

ლიგის თასი
ნახევარფინალი
**შალკე 2:1 ვერდერი**

### შვედეთი

ალსვენსკა
XV ტური
**იურგორდენი 0:1 ლანდსკრონა**

## ტაისონის სამტრედე



**მსოფლიოს** ყოფილმა ჩემპიონმა, სუპერმძიმეწონოსანმა მოკრივემ მაიკ ტაისონმა, როგორც იქნა, არიზონის ხელისუფლებისგან მიიღო ნებართვა, რათა თავისი სახლის გვერდით სამტრედე ააშენოს.

სამტრედის მშენებლობა ფორმალურად შეჩერებული იყო, რადგან ტაისონს ადგილობრივი არქიტექტურისგან საამისო ნებართვა არ ჰქონდა, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ყოფილი მოკრივე ქალაქის ფეშენებელურ შემოგარენში რამდენიმე ასეული მტრედის სადგომს აშენებდა, მის მეზობლებს აშკარად აღიზიანებდა.

ტაისონის ცხოვრებაში სიახლეა ისიც, რომ იგი ბერლინში მაიკლ ჯექსონის ერთ-ერთი სტუმარი იქნება, რომელიც მამამისის 76 წლისთავთან დაკავშირებით საღამოს აწყობს.

# მესქვოშე გრეგორი

ჩოგბურთს კი ჰგავს, მაგრამ სპორტის ამ სახეობას სქვოში ჰქვია. ეს გაწელილი კაცი კი გრეგორი გოლტიეა, მსოფლიოში რანგით მე-12 მესქვოშე, რომელიც ყარაჩიში მიმდინარე ტურნირის მერვედფინალში ინგლისელ საიმონ პარკს ამარცხებს 11:4, 11:7, 11:4.





# რონალდინიო ჰოსპიტალში

ზაფხულია და დიდი ფეხბურთი გვერდზეა გადადებული. ბურთი კი მრგვალია და მაინც დაგორავს — ამჯერად მადრიდის ჰოსპიტლის მინდორზე, სადაც ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდინიო საქველმოქმედოდ მისულა და ბავშვები გაუხარებია.



# ისწავლეთ!

ტელეკომპანია „დივი სპორტსის“ ხელმძღვანელი ბრაიან ლოუ ჟურნალისტებს ახალი აპარატურის ათვისებაში ეხმარება და ასწავლის, თუ როგორ უნდა გაიმეორონ საინტერესო ეპიზოდი.

# ბაზა და მებაზე

„ლოს ანჯელეს დოდჯერსის“ დომინიკელ ლეგიონერ ანტონიო პერესს წარმატებით დაულაშქრავს მტრის მეორე ბაზა. „ცინცინატის“ მებაზე რაიან ფრილს კი წკიპზე დაუგვიანებია და სულ ტყუილად ებლაუჭება ნაალაფევ მეტოქეს.





# პირველი და მაგრად დაცული

მაღალი რისკის მატჩი გაიმართა ამ ჩემპიონთალიგობაზე და ეს ამბავი ზღვა სეკიურიტების გარეშე როგორ ჩაივლიდა?! კვიპროსსა და თურქეთს ერთმანეთთან დიპლომატიური ხიდი ჯერაც არ გაუდვიათ, რაკი ეს უკანასკნელი არ ცნობს პირველის დამოუკიდებლობას და მისი ტერიტორიის ერთი მესამედი სულაც ოკუპირებული აქვს. შესაბამისად, თურქული და კვიპროსული ფეხბურთის კლუბები ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან და ეს გახლდათ მათი პირველი შეტაკება. ფამაგუსტას „ანართოსისი“ ნიქოზიაში მასპინძლობდა თურქულ „ტრაბზონსფორს“ და ორი ბურთით დაამარცხა, ამ ბერძენ-კვიპროსელ გოგონას კი გასაშმონად ქალი სეკიურიტი მიუჩინეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნარიმაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ ძალლა, კელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge